გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№127 (883) 2 - 3 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

SOS საფრთხე!

„მალე შეიძლება, გადაშენების პირას მყოფ ერად გვაღიარონ, სადაც ყველა კიბოთია დაავადებული!“ გვ. 8

ონკოლოგიური დაავადებების გახშირების მიზეზი გენმოდიფიცირებული პროდუქტია?!

იანუკოვიჩის სისხლიანი დღეები

26 მაისის ქართული „ბართლომეს ღამიდან“ უკრაინის ევრომაიდნის დარბევამდე გვ. 2

სქემა, რომლითაც ზურაბ ადეიშვილი და სააკაშვილის დაცვის უფროსი სამშენებლო კომპანიებს აკოტრებდნენ

რა კავშირი აქვს „M.G. და კომპანიის“ გაკოტრებას ანაკლიის პატრიოტთა ბანაკის მშენებლობასთან და როგორ „აახიეს“ ნაციონალებმა „არდის“ რამდენიმე ასეული ათასი გვ. 6

„არ ვაპირებ მტკიცებას, რომ აგენტი არ ვარ!“

გვ. 3

რატომ ალარ შეიყვანეს პარტიის პოლიტსაბჭოში, რაში არ ეთანხმება დავით საგანელიძეს და აპირებს თუ არა პარლამენტის დატოვებას

ელისო ჩაფიძე

დიდი აქციოტაქი ნაციონალებში — გიორგი ვაშაძე ცვლილებებს ითხოვს?!

გვ. 5

თვითმმართველობის კოდექსით, ეთნიკური ნიშნის მქონე 20-ზე მეტ მუნიციპალიტეტს მივილებთ?!

რა საფრთხეებს ხედავენ ექსპერტები და რატომ ეწინააღმდეგება ნარმანიას უწყების მიერ მომზადებული კანონპროექტი ეროვნულ ინტერესებს გვ. 4

ხელისუფლებისგან მიტოვებულნი

იანუკოვიჩის სისხლიანი დღეები

26 მაისის ქართული „ბართლომეს ღამიდან“ უკრაინის ევრომაიდნის დარბევამდე

ნათია აბაშიძე

ნარინჯისფერი უკრაინის გაწითლების მცდელობა ვიქტორ იანუკოვიჩისთვის, შესაძლოა, ფატალურად დასრულდეს. ამის თქმის საფუძველს, სხვა თუ არაფერი, რამდენიმე დღის წინ, „ევრომაიდანზე“ მრავალრიცხოვანი მიტინგის დარბევა იძლევა, რომლის დროსაც 40 ადამიანი მძიმედ დაშავდა, 35 კი დააკავეს.

ისე, „ევრომაიდნის ტრაგედია“ რაღაცით 2010 წლის 26 მაისის ქართულ „ბართლომეს ღამეს“ ჰგავს — წაქცეულებს, ქართველების მსგავსად, უკრაინელი სამართალდამცავებიც ურტყამდნენ, ეგაა ოღონდ: საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების ანუ ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებით, უკრაინის შს მინისტრი ვიტალი ზახარჩენკო აღიარებს, რომ სპეცრაზმმა ძალას გადაამეტა, **„მინდა, ბოდიში მოვიხადო ძალის გადამეტების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა კიევის ცენტრში, ევრომაიდანზე“**.

ამასთან, როგორც უკრაინული მედია იუწყება, შინაგან საქმეთა კიევის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა, ვალერი კორიაკმა, ვიდრე „ევრომაიდანზე“ მომხდარის მოკვლევა არ დასრულდება, შს მინისტრს გადადგომის განცხადებით მიმართა.

მომხდარზე არაპირდაპირ, მაგრამ გარკვეულ პასუხისმგებლობას ვიქტორ იანუკოვიჩიც იღებს: **„ვითხოვ უკრაინის გენერალური პროკურატურისგან, სასწრაფოდ წარმოგვიდგინოს მეც და უკრაინის საზოგადოებასაც ობიექტური გამოძიების შედეგები იმისთვის, რომ სასწრაფოდ დაისაჯონ დამნაშავეები“**, — ნათქვამია პრეზიდენტის მიერ გავრცელებულ მიმართვაში.

საგულისხმოა, რომ ამ დღეებში იანუკოვიჩი, როგორც უკრაინის პრემიერი ნიკოლაი აზაროვი იუწყება, მოსკოვში ჩასვლას გეგმავს.

ერთ-ერთი უკრაინელი დეპუტატი კი ავრცელებს ცნობას, რომ „ევრომაიდანზე“ მომიტინგეები სასტიკად უკრიანულმა „ბერკუტმა“ კი არა, რუსულმა სპეცრაზმმა „ალფამ“ დაარბია. **„მივიღე ინფორმაცია, რომ დარბევამდე ცოტა ხნით ადრე მოსკოვში, „ალფას“ წევრმა თქვა, კიევში გამოგვიძახესო. კიევში ჩასულ „ალფელებს“ კი „ბერკუტის“ ფორმა ჩააცვეს“**, .

ამასობაში, ცნობილი ხდება, რომ პირველი დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით კიევში მასობრივი აქციების ჩატარება იკრძალება. ეს გადაწყვეტილება კიევის საოლქო ადმინისტრაციულმა სასამართლომ მიიღო. აქციების ჩატარება აკრძალულია: ბანკოვის ქუჩაზე, სადაც პრეზიდენტის ადმინისტრაციაა განთავსებული; გრუშევსკის ქუჩაზე, სადაც პარლამენტი მდებარეობს; ბოგომოლეცის ქუჩაზე, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროა განთავსებული, ასევე, ევროპის მოედანსა და თავისუფლების მაიდანზე.

ერთი სიტყვით, პრეზიდენტი იანუკოვიჩი პოზიციების გასამყარებლად უკან არაფერზე იხევს, თუმცა უკან დახევას არც უკრაინის ევროინტეგრაციის მომხრე ასიათასობით მოქალაქე აპირებს — ამბოხებულებს ზემოხსენებული აკრძალვები არ აშინებთ და, უკრაინის სხვადასხვა ქალაქსა და პროვინციიდან, ხალხი კიევისკენ დაძვრას გეგმავს, რაც იმას ნიშნავს, რომ იანუკოვიჩის ისედაც დაცემული რეიტინგი უარესად გაცამტვერდება. ამასობაში კი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, ფრაქცია „ბატკივშჩინას“ თავმჯდომარის, არსენი იაცენიუკის რეიტინგი მატულობს და ლამის იანუკოვიჩისას უთანაბრდება ანუ თუკი მოსახლეობა არ დამშვიდდა, არსებობს ალბათობა, რომ უკრაინაში ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს. მოვლენების ამ სცენარით განვითარება კი იანუკოვიჩს არ აწყობს, რადგან მის 7-პროცენტიან რეიტინგს ოპოზიცია „შეჭამს“.

საერთოდ, ის, რაც ხდება, საგანგაშო მხოლოდ უკრაინისთვის კი არა, საქართველოსთვისაცაა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ევროკავშირთან ერთწლიანი პარაფირება გაფორმდა, რომელიც 2014 წლის შემოდგომაზე საბოლოო ხელმოწერით უნდა დაგვირგვინდეს. ეს ერთი წელი კი, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრი ამბობს, ერთობ რთული იქნება. ყოველ შემთხვევაში, ირაკლი ალასანია არ გამორიცხავს, რომ ამ პერიოდში გარკვეულმა ძალებმა საქართველოს მოსახლეობაში ანტიევროპული განწყობის კულტივირება მოახდინონ. ანტიევროპული ძალებისთვის ე.წ. უკრაინის სცენარის საქართველოში გათამაშება, ცხადია, ერთობ უპრიანია...

ერთი სიტყვით, ჩრდილოელი მეზობელი ბობოქრობს...

უკრაინა ბეწვის ხიდზეა...

საქართველოს კიდევ ერთი დიდი გამოცდა ელის...

P.S. ნიშანდობლივია, რომ პირველ დეკემბერს, კიევის ცენტრალურ, დამოუკიდებლობის მოედანთან მომიტინგეთა მიახლოების შემდეგ, საახალწლო ნაძვისხის ბარიერებთან შეკრებილმა შინაგანი ჯარის ნაწილებმა მოედანი დატოვეს და ევროინტეგრაციის მომხრეებს გზა მისცეს. მომიტინგეთა განცხადებით, ხელისუფლებამ შინაგანი ჯარების ახალწვეულების „საზარბაზნე ხორცად“ გამოიყენება სცადა, მაგრამ ეს ნომერი არ გაუვიდა — ბიჭებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს და ხალხი არ დაარბიეს. ამასთან, 1 დეკემბერს საღამოს მომიტინგეებმა მთავრობის სახლი, მერია და პროფკავშირების სასახლე შტურმით აიღეს, სადაც „რევოლუციური შტაბის“ შექმნას გეგმავენ. ნიშანდობლივია, რომ ხალხმა მთავრობის სასახლის რკინის ღობე ბულდოზერით შეანგრია.



ილია მეორე: „ადამიანის ბედი დამოკიდებულია ღმერთზე, წინაპრებსა და თავად ადამიანზე!“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბრძანებს, რომ ადამიანის ბედი დამოკიდებულია ღმერთზე, წინაპრებსა და თავად ადამიანზე.

ადამიანის ბედის შესახებ პატრიარქმა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში იქადაგა და აღნიშნა, რომ ეს ურთულესი და ადამიანისთვის მიუწვდომელი პროცესია.

„ავიღოთ, მაგალითად, ბედი ისეთი დიდი პიროვნებისა, როგორიც იყო ნეტარი ავგუსტინე. ის თავისუფალი პიროვნება იყო. არ კმაყოფილდებოდა მოპოვებული ცოდნით, სწავლობდა სხვადასხვა ფილოსოფიურ კონცეფციებს, მაგრამ არაფერი აკმაყოფილებდა. წაიკითხა სახარებაც, მაგრამ ესეც თითქოს უცხო იყო მისთვის. 16 წლისას უკვე უკანონო შვილი ჰყავდა. დედამისი ევედრებოდა ღმერთს, რომ მისი შვილი მოექცია. ეს ის დრო იყო, როცა ცხოვრობდა დიდი მოღვაწე ამბროსი მედიოლანელი ეპისკოპოსი. ის სახელმწიფო მოღვაწე იყო. მედიოლანი დღევანდელი მილანია, სადაც ირჩევდნენ ეპისკოპოსს. ხალხი რამდენიმე ჯგუფად გაიყო და ეპისკოპოსი ვერ აირჩიეს. ამბროსი, როგორც ერისკაცი, იმპერატორის მიერ იყო გაგზავნილი და ეპისკოპოსის არჩევას ესწრებოდა. ეპისკოპოსი რომ ვერ აირჩიეს, ძუძუმწოვარმა ბავშვმა დაიყვირა, „ამბროსია ეპისკოპოსი“. ერის ადამიანი გაოცდა, დატოვა კრება და იქიდან გაიქცა, მაგრამ ხალხმა აიძულა და ერთ კვირაში აკურთხეს დიაკონად, მღვდლად და ეპისკოპოსად. ნეტარი ავგუსტინეს დედა ამ პიროვნებასთან მივიდა. მას ამბროსი მედიოლანელმა ეპისკოპოსმა ჰკითხა, ლოცულობდა თუ არა ცრემლით. არ შეიძლება, დედის ცრემლი დაიკარგოს წინაშე ღვთისა. მართლაც, მოულოდნელად ნეტარმა ავგუსტინემ აიღო სახარება, დაიწყო კითხვა და ტირილი. დასტიროდა თავს, თავის ცოდვებს. აი ასე გადმოვიდა მადლი სულისა წმინდისა ამ პიროვნებაზე და ის უდიდესი პიროვნება გახდა და ჰიპონიის ეპისკოპოსად აკურთხეს. აი როგორი რთული ბედია — ვინ იყო და ვინ გახდა, ამიტომ როცა ვუყურებთ ადამიანს და ვხედავთ ადამიანის ცოდვებს, არ უნდა განვიკითხოთ იმიტომ, რომ არ ვიცით, რას მოავლენს ღმერთი მასზე“, — ბრძანა პატრიარქმა.

„ინტერპრესნიუსი“

„არ ვაპირებ მტკიცებას, რომ აგენტი არ ვარ!“

რატომ აღარ შეიყვანეს პარტიის პოლიტსაბჭოში, რაში არ ეთანხმება დავით საგანელიძეს და აპირებს თუ არა პარლამენტის დატოვებას ელისო ჩაფიძე

ბრუსუდან შელია
557-100-768

ამბობს, რომ პარტია „ქართული ოცნება-დემოკარტიული საქართველოს“ განვითარებაში, ორი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, თუმცა არ სწყენია, პოლისტაბჭოში რომ აღარ შეიყვანეს. ამასთან, ტყიბულის მაჟორიტარი ელისო ჩაფიძე „ვერსიასთან“ საუბრისას უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძესთან დაპირისპირებას კატეგორიულად უარყოფს და ადასტურებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, 14 დეპუტატთან ერთად, წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის თხოვნით, ბიძინა ივანიშვილს წერილი გაუგზავნა.

— პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ განვითარებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანე — ორი წლის განმავლობაში პოლიტსაბჭოს წევრი ვიყავი და რაც შემეძლო, პარტიის გასაძლიერებლად ყველაფერს ვაკეთებდი. „ქართული ოცნების“ იდეალების დღესაც ერთგული ვარ. შესაბამისად, როცა რიგით მესამე ყრილობაზე პოლიტსაბჭოს წევრად არ დამასახელეს, განსაკუთრებული რეაქცია არ მქონია, თან ჩემს გარდა, ისეთი ადამიანებიც არ დაასახელეს, რომლებმაც პარტიისთვის ჩემზე მეტი გაიღეს, მაგალითად, ვანო კილურაძე, სოზარ სუბარი, ზაქარია ქუცნაშვილი... ვიცი, გული არც ერთს დაწყვეტია, რადგან პარლამენტის წევრობაც უდიდესი პასუხისმგებლობაა — პარლამენტში უამრავი ადამიანის ინტერესს წარმოვადგენ და მათ წინაშე აღებული ვალდებულების შესრულება უდიდესი პატივია. სხვათა შორის, როცა პარტიის პოლიტსაბჭოს მდივნობა შემომთავაზეს, არ მიკითხავს, ამ პოსტს რა დამსახურებისთვის მთავაზობდნენ. მაშინ თანაგუნდელებმა ნდობა გამომიცხადეს, რაც ჩემთვის უდიდესი ტვირთი და ვალდებულება იყო. ასე მოვიქეცი ახლაც, როცა შევიტყვე, რომ პოლიტსაბჭოს წევრი აღარ ვიქნებოდი. მთავარია, ჩემს პრინციპებზე უარი არასოდეს მითქვამს და პარტიის რიგითი წევრობაც უაღრესად მნიშვნელოვანია.

— ელისო, პოლიტსაბჭოს ახალ შემადგენლობას როგორ აფასებთ?

— კმაყოფილი ვარ, რომ პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი გახდა — კეთილშობილი ადამიანია, კახა კალაძის მიმართ ჩემი დამოკიდებულება კი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი — „ქართული ოცნების“ გასამარჯვებლად ბევრი იბრძოლა. იგივე შემიძლია ვთქვა მანანა კობახიძესა და ეკა ბესელიაზე, რომლებიც ჩემთვის გამორჩეული მეგობრები და მისაბაძი პოლიტიკოსები არიან. რაც შეეხება დავით საგანელიძეს, მან ბევრი იშრომა, „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში წარმატებისთვის რომ მიეღწია... შესაძლოა, გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში განსხვავებული მოსაზრებები გვქონდა, მაგრამ ეს ინტრიგებსა და პიროვნულ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა.

— თქვენ და დავით საგანელიძეს განსხვავებული აზრი მაინც რა საკითხზე გქონდათ?

— მოგეხსენებათ, პარტიის რეგიონული წარმომადგენლების გარკვეული ნაწილი დავით საგანელიძეს უპირისპირდებოდა და, როცა „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს მდივანი ვიყავი, დახმარების თხოვნით ხშირად მომმართავდნენ. არ ვიცი, რამდენად საწყენია, როცა შენი პარტიის წარმომადგენლებს ხვდები და მათ პრობლემებს ისმენ, რადგან მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში, ლიდერებთან ერთად, მათ არანაკლები წვლილი მიუძღვით; თან არ მინდოდა, პარტიის აქტივისტებს ეფიქრათ, რომ ისინი არჩევნებამდე გამოვიყენეთ, გამარჯვების შემდეგ კი შეხვედრაზეც არ ვთანხმდებით...

— ესე იგი, საგანელიძეს სწყინდა, რომ რეგიონში პარტიის წარმომადგენლებს ხვდებოდით და მის წინააღმდეგ არსებულ ბრალდებებს ისმენდით?

— არ მგონია, ეს დავით საგანელიძეს სწყენოდა... ხშირად ვთხოვდი, ამ ადამიანებს თვითონაც შეხვედროდა, თუმცა დღეს დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ მსგავსი პროცესები გარედან მართული იყო და ნაციონალური მოძრაობის წევრები „ქართულ ოცნებაში“ გარკვეული შუღლის ჩამოგდებას ცდილობდნენ, დავით საგანელიძეს კი განსაკუთრებით ესხმოდნენ თავს, რის გამოც პარტიის წევრები ხშირად საკმაოდ მწვავე შეკითხვებსაც ვპასუხობდით.

— ანუ ადასტურებთ, რომ პარტიაში დაპირისპირება არსებობს და ზაქარია ქუცნაშვილიც ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელის პოსტიდან ამის გამო გადადგა?

— მხოლოდ იმას ვადასტურებ, რომ საგანელიძეს უფრო ინტენსიურად ებრძოდნენ, ვიდრე — მე. უამრავი უღირსი ხრიკი და მეთოდი გამოიყენეს, რაც ჩვენს აღშფოთებას იწვევდა. მსგავსი თავდასხმების პირობებში, პირადად მე, ყოველთვის ვიცავ გუნდის თითოეულ წევრს, მით უმეტეს, ისეთ გამოცდილ პოლიტიკოსს, როგორიც საგანელიძეა. უმადური ნამდვილად არ ვარ და კარგად ვხედავ შრომას, რასაც ის პარტიისთვის ყოველდღიურად წევს. ზაქარია ქუცნაშვილის გადაწყვეტილება კი დაპირისპირებას არ უკავშირდება.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ 14-მა დეპუტატმა ბიძინა ივანიშვილს დავით საგანელიძის წინააღმდეგ წერილით მიმართეთ.

— მიმართვა, სინამდვილეში, ორაბზაციანი განცხადება იყო, სადაც ეწერა, რომ პარლამენტიდან ზოგ კოლეგას გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შესაძლებლობა არ ჰქონდა. მაშინ შტაბისგან სწორედ ამას ვითხოვდით. როცა ამ დოკუმენტის ხელმოწერა მთხოვეს, კოლეგებს ვუთხარი, მოსახლეობასთან 50-მდე შეხვედრა გავმართე და რა უფლება მაქვს, ვთქვა, თითქოს კამპანიაში ჩართვის შესაძლებლობა არ გამაჩნია-თქო. საბოლოოდ, კოლეგიალობის გამო, ხელი მოვაწერე და ივანიშვილთან შეხვედრაც მოვითხოვეთ. ასე რომ, ამ მიმართვაში საგანელიძის სალანძღავი არაფერი ეწერა.

— ეს გასაგებია, მაგრამ გიორგი მარგველაშვილის შტაბს დავით საგანელიძე ხელმძღვანელობდა! ვინ ან რა პრინციპით ირჩევდა დეპუტატებს წინასაარჩევნო კამპანიაში ჩასართავად?

— საუბარი იყო უფრო შტაბზე, ვიდრე — დავით საგანელიძეზე, თუმცა შესაძლოა, ერთ-ერთი ადრესატი ისიც იყო. ვიმეორებ, ჩავთვალეთ, რომ პარლამენტის ღირსეული წარმომადგენლები საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის მიღმა დარჩნენ და არ მგონია, ამაზე საუბარი დანაშაული იყოს. მესმის, არიან ადამიანები, რომლებსაც მეტი პოლიტიკური გამოცდილება აქვთ და წინასაარჩევნო კამპანიაში მეტი პოპულარობის პრინციპით ჩართეს — ეს ჩვეულებრივი კონკურენციაა და განსაკუთრებულ მოვლენასთან საქმე არ გვაქვს.

— ადასტურებთ, რომ თქვენ, ზაქარია ქუცნაშვილი, მურმან დუმბაძე, სოსო ჯაჭვლიანი და ზურა ზვიადაური ნაკლებად პოპულარულები ხართ?

— დიდი ხანია, ჩემს პოლიტიკურ რეიტინგს არ გავცნობივარ. „ქართულ ოცნებაში“ მოსვლამდე არც ერთ პარტიასთან თანამშრომლობის სურვილი არ მქონია და პოლიტიკაში ჩემი ჩართვა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ბიძინა ივანიშვილის პროცესებში აქტიურ ჩართვას უკავშირდება. პოლიტიკიდან მისი წასვლის შემდეგ კი გამიჩნდა განცდა, რომ პოლიტიკოსობას მხოლოდ მისი შემოთავაზების შემდეგ დავთანხმდი.

— ივანიშვილის შემდეგ, პოლიტიკიდან წასვლაზე თქვენც ფიქრობთ?

— ალბათ, პარტიაში დავრჩები, თუმცა ნამდვილად არ ვიცი, მომავალში, რომელიმე თანამდებობაზე კენჭს ვიყრი თუ არა. პარლამენტიდან წასვლას კი არ ვგეგმავ, რადგან ამომრჩეველს სიტყვა მივეცი — ტყიბულის მოსახლეობისთვის მიცემული დაპირებები მაქსიმალურად უნდა შევასრულო.

— ზემოხსენებული მიმართვის გაგზავნის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილი შეხვედრაზე დაგთანხმდათ?

— დიახ, საპარლამენტო ფრაქციასთან ერთად, ივანიშვილს შევხვდი და ამ საკითხზეც ვისაუბრეთ. შეხვედრაზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა — განცხადების ხელმომწერებმაც და ბატონმა ბიძინამაც საკუთარი პოზიცია საკმაოდ მშვიდად გამოვთქვით, დეტალებზე კი არ ვისაუბრებ... ზოგადად, აზრთა სხვადასხვაობა ყველა პარტიაში არსებობს. მთავარია, ნებისმიერი საკითხი ჯანსაღად და დემოკრატიული პრინციპების დაცვით გადაწყდეს.

— თქვენს წინააღმდეგ კიდევ ერთი ბრალდება გაჟღერდა — ელისო კილაძის განცხადებით, 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე, კუდ-თან თანამშრომლობდით. კილაძეს საგანელიძე უჩივის. თქვენც ხომ არ აპირებთ მსგავს რეაგირებას?

— არ ვაპირებ მტკიცებას, რომ აგენტი არ ვარ! ვინც ეს მასალები გამოაქვეყნა, თავად კარგად იცის, ვინ არის რეალურად აგენტი და ვინ — არა. ვისაც სურს, რომ ჩემს წინააღმდეგ აგორებული ცილისწამება და სიბინძურე დაიჯეროს, დაიჯერებს კიდეც და, სამწუხაროდ, მათ გადასარწმუნებლად ვერაფერს გავხდები. ვინც მიცნობს, ჩემს აგენტობაზე გაეცინება.

ნიკოლოზ მჟავანაძე „თბილისის წყლის“ გასხვისების კანონიერების შესწავლას ითხოვს

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ განაცხადა, რომ 2007 წლის 25 ივლისს სახელმწიფომ „თბილისის წყალი“, ჟინვალჰესი, „მცხეთაწყალკანალი“ და „საქწყალკანალი“ ერთდროულად გაიტანა აუქციონზე. გასხვისებაში კი ხელისუფლებისა და „თბილისის წყლის“ საეჭვო გარიგებები იკვეთება.

„გამარჯვებული კომპანიის გამოსავლენად 3 ძირითადი კრიტერიუმი დასახელდა: შესაძენი ფასი, საწარმოს განვითარების გეგმა და ინვესტიციების მოცულობა. მიუხედავად იმისა, რომ ტენდერში მსოფლიოს უმსხვილესი წყლის კომპანიები მონაწილეობდნენ, გამარჯვებულად ნაკლებად ცნობილი შვეიცარული „მალტიპლექს სოლუშენსი“ დასახელდა. კომპანია ვალდებულებას იღებდა, ობიექტებში 85 662 000 მილიონი დოლარი გადაეხადა, 350 მილიონი დოლარის ინვესტიციები განეხორციელებინა და წყლის ტარიფი 2013 წლამდე 2,95 ლარზე მეტად არ გაეზარდა.

გამარჯვებულ კომპანიას საპრივატიზაციო საწარმოები პირდაპირი მიყიდვის წესით უნდა გადასცემოდა, თუმცა გადადგომამდე ერთი დღით ადრე, 2007 წლის 23-24 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილმა განკარგულებები გამოსცა და საპრივატიზაციო ობიექტები გამარჯვებული შვეიცარული „მალტიპლექს სოლუშენსის“ ნაცვლად, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ გადასცა. ამ ცვლილებების შესახებ მთავრობას არანაირი განმარტება არ გაუკეთებია. ეს გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებია გამარჯვებულ შვეიცარულ კომპანიას. აღნიშნულ გარიგებას კორუფციული უწოდეს ექსპერტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა. კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა თინათინ ხიდაშელმა კი განაცხადა, რომ „მალტიპლექს სოლუშენსის“, „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედისა“ და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ უკან ქართული კაპიტალი იდგა და ქართველ სახელმწიფო მოხელეთა ინტერესი იმალებოდა. რესპუბლიკური პარტია თბილისის მერს მსხვილ კორუფციულ გარიგებაში სდებდა ბრალს. გამოითქვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ გიგი უგულავა პირადად იყო დაინტერესებული „თბილისის წყლის“ ისე გაყიდვაში, როგორც ეს განხორციელდა“.

მჟავანაძის თქმით, „თბილისის წყლის“, ჟინვალჰესის, „მცხეთაწყალკანალისა“ და „საქწყალკანალის“ ოფშორში რეგისტრირებულმა მეპატრონემ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რაც დაკავშირებული იყო ქსელების რეაბილიტაციასთან, გამრიცხველიანებასა და წყლის ფასთან: **„გარდა ამისა, კონტროლის პალატამ დადო დასკვნა, სადაც იკვეთება გარკვეული საეჭვო გარიგებები სახელმწიფო უწყებებსა და „თბილისის წყალს“ შორის, გაუგებარი მიზეზების გამო დასკვნა თაროზე შემოიდო და მას მსვლელობა არ მიეცა.**

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ მოუწოდებს ხელისუფლებას, გადახედოს „თბილისის წყლის“, ჟინვალჰესის, „მცხეთაწყალკანალისა“ და „საქწყალკანალის“ გასხვისების საკითხს და კონტროლის პალატის იმ დასკვნას, სადაც ხელისუფლების და „თბილისის წყლის“ საეჭვო გარიგებები იკვეთება“.

„ინტერპრესნიუსი“

გიორგი ღონღაძის დედა გარდაიცვალა

უკრაინაში ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის დედა 69 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„ლესია ღონღაძე მამაცი ქალი იყო. უკრაინელი პატრიოტის შვილი, ბრწყინვალე შვილის აღმზრდელი, რომელიც უკრაინის ნაციონალურ იდეის, სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის დამცველი იყო... მთელი ლვოვი გლოვობს“, — ნათქვამია ქალაქ ლვოვის ხელმძღვანელის, ანდრეი სადოვოის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ჯი-ეიჩ-ენი“

გიორგი მარგველაშვილი: „ევროპული ოჯახის წევრი გავხდებით არა მხოლოდ კულტურული, არამედ, პოლიტიკური თვალსაზრისითაც“

„საქართველო, ისტორიულად, ევროპის ნაწილია, ჩვენ გავაგრძელებთ ამ გზაზე სვლას და ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში ევროპული ოჯახის წევრი გავხდებით არა მხოლოდ კულტურული, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა „ევრონიუსისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

ჟურნალისტის კითხვაზე, შეძლებს თუ არა, საქართველო რუსეთის ზეწოლისთვის წინააღმდეგობის გაწევას, გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ პოლიტიკაში ყოველთვის სწორი არ არის ანალოგებით ფიქრი.:

„რა თქმა უნდა, სამიტზე არსებული გარემოება ამისკენ გვიბიძგებს. ვფიქრობთ, გაფართოებული და ძლიერი ევროპა უფრო უსაფრთხო მსოფლიოს, უსაფრთხო რეგიონსა და რუსეთის უსაფრთხო სამეზობლოს ნიშნავს“. საქართველოს პრეზიდენტმა განმარტა, რომ ევროკავშირსა და ნატო-ში განევრიანება და, იმავდროულად, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება ერთმანეთთან შეუსაბამობაში არ მოდის:

„საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და საკუთარი პოლიტიკა აქვს. საქართველო ცდილობს გზავნილი მიაწოდოს თითოეულ თავის მეზობელს, მათ შორის რუსეთსაც, რომ ცივილიზებული, ეკონომიკურად ძლიერი, დემოკრატიული, ევროპული და ევროატლანტიკური საქართველო არავისთვის წარმოადგენს საფრთხეს, არამედ პირიქით, ეს უფრო უსაფრთხო საზღვრებსა და უფრო სტაბილურ სამეზობლოს ნიშნავს“.

„ინტერპრესნიუსი“

სასჯელაღსრულების დეპარტამენტს დიმიტრი დარბაისელი უხელმძღვანელებს

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრმა სოზარ სუბარმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს ახალი თავმჯდომარე 29 ნოემბერს წარუდგინა.

პოლიციის პოლკოვნიკი დიმიტრი დარბაისელი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნამდე შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თბილისის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობდა.

დიმიტრი დარბაისელმა, რომელიც წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებდა, 2008 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრო პირადი გადაწყვეტილებით დატოვა და საქმიანობა კერძო სექტორში განაგრძო. სამართალდამცავ სისტემას ის 2012 წელს დაუბრუნდა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, 34 წლის დიმიტრი დარბაისელი მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი კადრია. მან 2001 წელს დაამთავრა უშიშროების აკადემია. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

დიმიტრი დარბაისელმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე მიხეილ ღურწკაია შეცვალა, რომელიც ამ თანამდებობას მიმდინარე წლის 13 მარტიდან 29 ნოემბრამდე იკავებდა.

„ინტერპრესნიუსი“

თვითმმართველობის კოდექსით, ეთნიკური ნიშნის მქონე 20-ზე მეტ მუნიციპალიტეტს მივიღებთ?!

რა საფრთხეებს ხედავენ ექსპერტები და რატომ ეწინააღმდეგება ნარმანიას უწყების მიერ მომზადებული კანონპროექტი ეროვნულ ინტერესებს

ირუსუდან შელია
557-100-768

თვითმმართველობის შესახებ კოდექსი, რომელიც მთავრობამ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით, პარლამენტს განსახილველად წარუდგინა, შემდეგ სიახლეებს ითვალისწინებს: თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა გაიზრდება და არსებული ხუთი თვითმმართველი ქალაქის — თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი — ნაცვლად, ეს სტატუსი იმ ქალაქებსაც მიენიჭებათ, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 15 ათასზე მეტია (მაგალითად, ზუგდიდი, გორი, ოზურგეთი და ა.შ.). თვითმმართველი ქალაქების მიმდებარე სოფლებისგან ჩამოყალიბდება თემები, რომელთა ბაზაზეც მუნიციპალიტეტები ფორმირდება. თვითმმართველი ერთეულების (ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების) მმართველი რგოლები არჩევითი იქნება. კოდექსით ასევე განსაზღვრულია სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა, რაც სამინისტროს განცხადებით, სოფლის მაცხოვრებელთა რეალური საჭიროებების გამოვლენასა და მათ ეფექტურ გადაწყვეტას შეუწყობს ხელს... რა რისკებს შეიცავს თვითმმართველობის კოდექსი და ეწინააღმდეგება თუ არა ცვლილებები საქართველოს ეროვნულ ინტერესებს? — „ვერსია“ ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს, დავით მელუას ესაუბრა.

— **თვითმმართველობის ამ კოდექსის დამტკიცების შემთხვევაში, სამი ძირითადი პრობლემა იკვეთება: პირველ რიგში, ცვლილებები სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება — რეგიონებს ტერიტორიული ადმინისტრაციული ერთეულის ყველა თვისება — საკუთარი ტერიტორია, ხელისუფლების ორგანოები და იურიდიული სტატუსი ექნებათ, რითიც ირიბად ვაღიარებთ, რომ აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაში აღარ მოიაზრება. აღსანიშნავია გუბერნატორის სტატუსიც, რომლის დემონიზირებასაც „ქართული ოცნება“ არჩევნებამდე ახორციელებდა. მეტიც, მის საარჩევნო პროგრამაში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ ეს თანამდებობა გაუქმდებოდა, ახლა კი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით, გუბერნატორებს უფლება-მოსილებებს უზრდიან.**

— **საუბარია, რომ ცვლილებების დამტკიცების შემდეგ რეგიონებს საკუთარი თვითმმართველობები, ქალაქებს კი, არჩეული მერი ეყოლებათ და ამ ფონზე, გუბერნატორების უფლებების გაზრდა რაში გამოიხატება?**

— ცვლილებების მიხედვით, თვითმმართველობათა რეგიონული გაერთიანების ხელმძღვანელი გუბერნატორი ხდება, ადრე კი, გურბენატორს საკანონმდებლო უფლებები არ ჰქონდა და ადმინისტრაციული ვერტიკალის, უშუალოდ, პრეზიდენტის დაქვემდებარებაში იყო. ამ შემთხვევაში, საქმე ეროვნულ ინტერესებსაც ეხება. კერძოდ, კანონი არსებული მუნიციპალიტეტების დაშლას და მცირე მუნიციპალიტეტებად დაყოფას ითვალისწინებს. გაუგებარია, როგორ წარმოუდგენიათ კანონის ავტორებს შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის ან კახეთის მცირე ზომის რეგიონებად დაყოფა, რადგან ამ შემთხვევაში, ეთნიკური ნიშნით სეპარირებულ რაიონებს მივიღებთ. შესაბამისად, თუ დღეს საქართველოს ტერიტორიაზე ეთნიკური ნიშნის მქონე სამი მუნიციპალიტეტი — ნინოწმინდა, ახალქალაქი და მარნეული გვაქვს, რეფორმის შედეგად, 20-ზე მეტი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ რეგიონული ევროპული ქარტიის ამოქმედებისა და მუნიციპალიტეტებში ეთნიკური უმცირესობების გამოცხადების პროცესი უფრო დამძიმდება.

— **მთავრობის განცხადებით, კოდექსი ხელს დეცენტრალიზაციის პროცესს შეუწყობს. ეს არგუმენტი თქვენთვის დამაჯერებელი არ არის?**

— ამ პროცესს აბსოლუტურ ცენტრალიზებამდე მივყავართ, რადგან ცვლილებების მიხედვით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ფუნქციები ზედმეტად იზრდება, თვითმმართველობას კი ყოველგვარი ექსკლუზიური, მათ შორის, წყლის რესურსების განკარგვის, სოციალური დახმარებებისა თუ დასაქმების პროგრამების ორგანიზების უფლება ჩამოერთმევა.

— **დავით ნარმანიამ არასაპარლამენტო ოპოზიციას, კოდექსის მიმართ გამოთქმული უკმაყოფილების გამო, ბოდიშის მოხდისკენ მოუწოდა, რადგან მინისტრის განცხადებით, პოლიტიკური ძალები მის განხილვაში თავიდანვე ჩართულნი იყვნენ.**

— არ მესმის, რატომ უნდა მოუხადოს არასაპარლამენტო ოპოზიციამ დავით ნარმანიას ბოდიში. საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე თვითმმართველობის კოდექსია გამოქვეყნებული, სადაც რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ ინიცირებული ცვლილებები დეტალურადაა ჩამოთვლილი. აღნიშნული კოდექსი დღეს მოქმედ კანონმდებლობას შეადარეთ. სხვათა შორის, კოდექსი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას, გამარტივების ნაცვლად, ბევრად ართულებს. კონკრეტულ მაგალითს გეტყვით: ოზურგეთის რაიონის სოფელ ძიმითის თვითმმართველობა ოზურგეთშია განთავსებული. რეფორმის შემდეგ კი ძიმითელ გლეხს ოზურგეთიდან დაბა ნასაკირალში ჩასვლა მოუწევს. სოფელ ძიმითსა და ოზურგეთს შორის ავტობუსი იმ მარტივი მიზეზის გამო დადის, რომ იქ ბაზარია და გლეხს პროდუქტის გაყიდვის შესაძლებლობა აქვს. დაბა ნასაკირალში კი ძიმითიდან ტრანსპორტი არ მიდის, ამიტომ გლეხი ჯერ ოზურგეთში უნდა ჩავიდეს და მგზავრობაში ლარი გადაიხადოს, შემდეგ კი დაბა ნასაკირალში მიმავალ ტრანსპორტში გადაჯდეს, რომლით მგზავრობაც დამატებით ერთი ლარი ღირს და საკუთარ სოფელშიც იმავე გზით უნდა დაბრუნდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ძიმითელებისთვის ხარჯი ორმაგდება. პრაქტიკულ განზომილებას თავი რომ დავანებოთ, ცვლილებების შედეგად ადამიანის უფლებების შელახვასაც ვაწყდებით. კანონი ამბობს, რომ თვითმმართველობის სტატუსი ენიჭება ტერიტორიას, სადაც 15 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ასეთი წყალტუბოა, მაგრამ ბორჯომში 14 550 ადამიანი ცხოვრობს, ამიტომ გაუგებარია, რა დააშავა ბორჯომის მოსახლეობამ? ან ვთქვათ, არჩევნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სენაკში 19 ათასი მოსახლე აღარ არის და 14 999-ია, სენაკს თვითმმართველობა უნდა ჩამოვართვათ? კოდექსი ასე არ იწერება! ამ შემთხვევაში, კანონპროექტის ავტორებისგან საქმე სიჯიუტესთან, არაპროფესიონალიზმსა და პარტიულ ინტერესთანაც გვაქვს.

— **თვითმმართველობის კოდექსში პარტიული ინტერესი როგორ გამოიხატება?**

— დღეს ქვეყანაში 65 მუნიციპალიტეტია ანუ საკრებულოებში 1720 სამუშაო ადგილია. თუ რეფორმის შედეგად საკრებულოში ადგილების რაოდენობა გაიზრდება და 2500-ზე მეტი იქნება, პარტიას საკუთარი აქტივისტების დასაქმების მეტი შესაძლებლობა ექნება. იმ პარტიებისთვის, რომელთაც პარტიული სტრუქტურა გამართული აქვთ, დიდი ქალაქების ცალკე გამოყოფაც განსაკუთრებით სასარგებლოა, თუმცა პოლიტიკურმა ძალებმა საკუთარი საქმე მოსახლეობის წვალების ხარჯზე არ უნდა აკეთონ. თუ ამ მიდგომას ვირჩევთ, ისე მაინც გავაკეთოთ, ყველა სოფელს პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა ადგილზე ჰქონდეს.

— **კანონპროექტი ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია, გაქვთ მოლოდინი, რომ თქვენს შენიშვნებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მაინც გაითვალისწინებს?**

— დავით ნარმანიამ საკმაოდ მუქარანარევი განცხადება გააკეთა და აღნიშნა, კოდექსის განხილვაში ექსპერტები ჩართულები იყვნენ და გაუგებარია, ახლა რატომ აცხადებენ, არაფერი ვიცითო. კონკრეტულად, ჩვენმა ორგანიზაციამ თვითმმართველობის კოდექსი განსახილველად 2013 წლის 15 ნოემბერს მიიღო, სადაც საკუთარი დასკვნის ჩაბარების ბოლო ვადად 22 ნოემბერი იყო მითითებული. ეს დასკვნა წარვადგინე და საკმაოდ დეტალურად აღვწერე რისკფაქტორები, მაგრამ გაუგებარია — როცა კანონზე 2013 წლის თებერვლიდან მსჯელობენ, ჩვენ ერთი წლის დაგვიანებით რატომ გამოგვიგზავნეს?! ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი შეკითხვა დაგროვდა, ამიტომ, კეთილი ინებონ და, არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნები კოდექსში გაითვალისწინონ.

დიდი აჟიოტაჟი ნაციონალებში — გიორგი ვაშაძე ცვლილებებს ითხოვს?!

ეროსუდან შელია
557-100-768

ექსმმართველ პარტიაში განხეთქილების „აჩრდილი დადის“ — მართალია, შიდადაპირისპირებას ხმამაღლა არავინ ადასტურებს, მაგრამ გიორგი ვაშაძის განცხადება — პარტიაში ცვლილებების დროაო, დაპირისპირებაზე მოარულ ხმას ამძაფრებს. ემიჯნება თუ არა პარტიას, იქნება თუ არა თბილისის მერის არჩევნებში გიგი უგულავას კონკურენტი, რატომ იქცა პატიმარი ვანო მერაბიშვილი საქართველოსთვის უდიდეს პრობლემად და რა გავლენას ახდენს მიხეილ სააკაშვილი ექსმმართველ გუნდზე? — ნაცონალებში ატეხილ აჟიოტაჟზე „ვერსია“ საპარლამენტო უმცირესობის წევრ გიორგი ვაშაძეს ესაუბრა.

რატომ იქცა პატიმარი ვანო მერაბიშვილი საქართველოსთვის უდიდეს პრობლემად და იქნება თუ არა მერის არჩევნებში ვაშაძე უგულავას კონკურენტი

— ნაციონალურ მოძრაობაში ცვლილებების დრო მართლაც დადგა. დროა, დავსვათ კითხვები — თუ მოგვწონს ის, რაც გვაქვს, რაში მდგომარეობს ჩვენი პრობლემა და სადაა გამოსავალი? პირადად მე, მიმაჩნია, რომ ფუნდამენტური, სისტემური და ეფექტური ცვლილებები აუცილებელია და გამოსავალიც სწორედ ამაში მდგომარეობს. ამ მიზნით, პარტიის აქტიურ მხარდამჭერებს ვხვდები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, ქვეყანას ალტერნატივა ერთობლივად შევთავაზოთ და ახალი პერსპექტივებით იმ ჩიხიდან გამოვიდეთ, რომელსაც „ქართული ოცნება“ გვთავაზობს. აქტივისტების მოსაზრებებსა და ინიციატივებს ვითვალისწინებთ, რათა პარტია საზოგადოებისთვის მაქსიმალურად გახსნილი გახდეს და ლიდერებთან ურთიერთობაში მოქალაქეებს ბარიერი აღარ შეექმნათ.

— იმ ფონზე, როცა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის პოსტზე მიხეილ სააკაშვილი რჩება, გენერალური მდივნის რეკომენდაციით კი, პარტიის აღმასრულებელი მდივნის თანამდებობაზე მიხეილ მაჭავარიანისა და აკაკი ბობოხიძის, რეგიონული მდივნის თანამდებობაზე დავით კირკიტაძისა და ნუგზარ წიკლაურის, ე.წ. მედიამდივნის თანამდებობაზე კი ხათუნა გოგორიშვილის კანდიდატურა განიხილება, არ ფიქრობთ, რომ რეორგანიზაციაზე საუბარი ფასადურია?

— პარტიის რეორგანიზაციაში სწორედ ახალი ადამიანების ჩართვასა და მეტ გახსნილობას ვგულისხმობ. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მან საკმაოდ საინტერესო პოლიტიკური პოზიცია დაიჭირა — პოლიტიკურ პროცესებს დროებით გაერიდა, ტაიმ-აუტი აიღო, პარტიაში გადაწყვეტილებების მიმღებად კი პოლიტიკური საბჭო დარჩა. ხაზგასმით ვაცხადებ: ნაციონალური მოძრაობის თითოეულ წევრს აბსოლუტური თავისუფლება აქვს. ვანო მერაბიშვილი კი სრულიად საქართველოსთვის უდიდეს პრობლემად იქცა, რადგან მისი დაკავების გამო დასავლეთის კრიტიკის ობიექტი გავხდით. საერთაშორისო პარტნიორებს ვერ გაუგიათ, რატომ უნდა იჯდეს ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ციხეში მაშინ, როცა მისთვის განაჩენი არ გამოუტანიათ და ბრალის დამტკიცებაც ამ დრომდე ვერ ხერხდება. მისი თავისუფლება მართლმსაჯულებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან მერაბიშვილს გამოძიებისთვის თავი არ აურიდებია და ქვეყნიდან გაქცევაც არასოდეს უცდია. დანარჩენი სახეებიც, ბუნებრივია, პარტიაში დარჩებიან, თუმცა დომინანტი ფიგურა დღეს პარტიაში არავინაა — ფუნქციები ყველას თანაბრად აქვს გადანაწილებული.

— დააკონკრეტეთ, პარტიაში მაინც რა ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდა და რაში გამოიხატება პარტიის წევრებზე ფუნქციების გადანაწილება?

— ნაციონალურ მოძრაობაში არსებულ სიახლეებს საზოგადოება უახლოეს კვირებში იხილავს. დღეს ჩვენი ამოცანაა, საზოგადოების ნდობა დავიბრუნოთ და კვლავაც გავხდეთ მიმზიდველი უამრავი ნიჭიერი და ენერგიული ადამიანისთვის. ცვლილებები გამოიხატება თუნდაც იმ მიმართულებით, რომ შიდასამენეჯმენტო სისტემაში მეტი ადამიანი მონაწილეობს, ზევიდან ქვევით მართვის პრინციპის ნაცვლად, რომელიც პარტიაში წლების განმავლობაში მართლაც დომინირებდა, დღეს პროცესებში ყველანი ვართ ჩართულნი.

— ამასობაში, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შედარებით ახალი სახეები, თქვენი ხელმძღვანელობით, ნაციონალური მოძრაობიდან გამოყოფასა და დამოუკიდებლად პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას გეგმავენ. თქვენს მიერ დაანონსებულ ცვლილებებში ეს სიახლეც უნდა ვიგულისხმოთ?

— სიცრუეა — ნაციონალური მოძრაობა ერთიანი და ძლიერი პოლიტიკური ორგანიზმია და მომავალშიც ასეთ პარტიად დავრჩებით. თუ მსგავს ხმას მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლას დავუკავშირებთ, კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში ყოველგვარ განხეთქილებებზე საუბარი აბსურდია, მით უმეტეს ახლა, როცა პარტიაში გარიყულად თავს არავინ გრძნობს და, როგორც გითხარით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში თითოეული წევრის აზრი მნიშვნელოვანია.

— აქამდე პარტიაში თავს გარიყულად ვინ გრძნობდა?

— გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სწორედ ზევიდან ქვევით მართვის პრინციპი უამრავი ჩვენი მომხრის დემოტივაციასა და პროცესებიდან გარიყვას იწვევდა. კონკრეტულად არავის დავასახელებ, თუმცა დღეს ეს რეალობა პარტიაში შეცვლილია და გადაწყვეტილებას 68-კაციანი პოლიტიკური საბჭო იღებს.

— მიხეილ სააკაშვილმა პარტიაზე გავლენა დაკარგა?

— ბიძინა ივანიშვილისგან განსხვავებით, მიხეილ სააკაშვილი ფანტასტიურად მოიქცა — ბიძინა ივანიშვილმა პარტია ისე დატოვა, მერის კანდიდატი თავად დაასახელა და გუნდის მთავარ ფიგურებადაც მისთვის ახლობელი ადამიანები დარჩნენ. სწორედ ესაა განსხვავება სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის — ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ პარტიის დანარჩენ წევრებს სრული თავისუფლება მისცა.

— საუბარია, რომ თვითმმართველობის არჩევნებში ჩართვის მიზნით, პარტიის შიდაპრაიმერში გიგი უგულავას კანდიდატურასთან დაპირისპირებას გეგმავთ.

— პირველ რიგში, საზოგადოების მენტალობა უნდა შეიცვალოს, რათა გავერკვეთ, რომ პრაიმერში კონკურენცია გუნდში დაპირისპირებას სულაც არ ნიშნავს. ზოგადად, პრაიმერის პრინციპით მუშაობა ნებისმიერ ორგანიზაციასა და პოლიტიკურ ორგანიზმს აძლიერებს. რაც შეეხება გიგი უგულავასთან დაპირისპირებას, თბილისის მერთან ფანტასტიურად ვთანამშრომლობთ და მასთან ურთიერთობის პრობლემა არასოდეს შეგვქმნია. გიდასტურებთ, რომ მეროების კანდიდატობაზე მართლაც ვფიქრობ, თუმცა ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა.

— თუკი პარტიაში თქვენი კანდიდატურის განხილვა არ დაწყებულა, მოვლენებს რატომ დაასწარით?

— ამ საკითხზე ნაადრევად ნუ ვიმსჯელებთ. ჯერ არჩევნების თარიღიც არ გამოცხადებულა, ამიტომ ჩემს კანდიდატურაზე მსჯელობა და დისკუსიები გადაჭარბებულად მეჩვენება. თუ პარტია პრაიმერში მონაწილე კანდიდატებზე საბოლოოდ შეთანხმდება, ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვისაც ნათელი გახდება. როგორც გითხარით, საჩურჩულო აღარაფერი გვაქვს და კულუარულად მოქმედებასაც არ ვაპირებთ.

— თბილისის მერად თქვენს კანდიდატურას მოწინააღმდეგეები უკვე გამოუჩნდნენ — მაგალითად, პოეტი რეზო ამაშუკელი ,რომელიც, უგულავას წინააღმდეგაც მასშტაბური აქციების გამართვით იმუქრება...

— ვფიქრობ, მსგავსი ადამიანების განცხადებებზე პასუხის გაცემას აზრი არ აქვს.

რუსეთის დაზვერვამ სააკაშვილზე ნადირობა გამოაცხადა?

დათა თუთაშხიას ჭორებს რომ უყრიდა ჟანდარმერია, ხომ გახსოვთ? გაგეცინებათ და, ჭორებს თურმე, ნაციონალები თავიანთ მამა-მარჩენალ მიხეილ სააკაშვილსაც უყრიან. თუთაშხიასა და სააკაშვილის შედარებისთვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მიზეზს ახლავე აგიხსნით: თუთაშხიას შემთხვევაში ჭორების მიზანი მისი ვაჟკაცობის დაკნინება და პიროვნების დისკრედიტაცია იყო, სააკაშვილის შემთხვევაში კი, ექსპრეზიდენტის ფანები ხაზს მის „ვაჟკაცობას“ უსვამენ. ცხელ-ცხელი ნაციონალური ჭორი ასეთია: ევროპაში სააკაშვილის ყოფნა გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს, რადგან რუსეთის დაზვერვამ მასზე ნადირობა გამოაცხადა, თუმცა მიშას სულაც არ ეშინიაო.

„სააკაშვილი ყოველთვის პარანოიკი და მშიშარა იყო. კაცი რომ თვითმფრინავს გაექცევა და სტუმარს მიატოვებს, რაღაზეა საუბარი? ერთი ამერიკული ანეკდოტია: ცხენიანი კაცი გიჟივით დარბის, რომელსაც ორი კაცი უყურებს. ეგ ვინ არის? — ეკითხება ერთი მეორეს. მოუხელთებელი ჯო — პასუხობს მეორე. მოუხელთებელი რატომაა? აბა, ვის რა ჯანდაბად უნდა მაგის მოხელთებაო. სააკაშვილის საქმეც ასეა — ვის რა ჯანდაბად უნდა? ის, რომ რუსეთის დაზვერვამ თითქოს მასზე დევნა გამოაცხადა, ზღაპარია, რომელიც ნაციონალებმა თვითონვე მოიგონეს“, — ამბობს უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია.

მისივე თქმით, სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რათა რუსებს საქართველოში თავი კარგად ეგრძნოთ: „რუსეთში დღეს საქართველოზე გაბატონებული აზრია — **„ჩემ ხუჟე, ტემ ლუჩშე“ და ამაში უდიდესი წვლილი სწორედ სააკაშვილს მიუძღვის, რომელმაც რუსეთის მიერ გადმოგდებული ყველა ანკესი დაუფიქრებლად ჩაყლაპა. აქედან გამომდინარე, მასზე ნადირობა რაში სჭირდებათ? ეს, ალბათ, სააკაშვილის მორიგი ჩანაფიქრია, რომელიც მიზნად ახალი ლეგენდის შექმნას ისახავს“.**

დავით დევიძე

მაია ფანჯიკიძე ნატო-ს მინისტერიალში მიიღებს მონაწილეობას

მინისტერიალის ფარგლებში დაგეგმილია ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

NGC-ის შეხვედრაზე, რომელიც ნატო-ს შტაბ-ბინაში 4 დეკემბერსაა ჩანიშნული, ქართული მხარე მოკავშირეებთან ერთად განიხილავს ნატო-საქართველოს დღის წესრიგში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებსა და საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მაია ფანჯიკიძე მინისტერიალის ფარგლებში სიტყვით გამოვა ნატო-ს წევრი სახელმწიფოების შეხვედრაზე ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე პარტნიორი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიუსელში ვიზიტისას ასევე შეხვდება ნატო-ს გენერალურ მდივანს, ანდერს ფოგ რასმუსენს და გამართავს ორმხრივ შეხვედრებს ნატო-ს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ვერსიანიუსი

ქუჩაში დალევა 300-ლარით დაჯარიმდება

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" შესატანი ცვლილებების პროექტის თანახმად, საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელის დალევა ან ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყოფნა 300-ლარით დაჯარიმდება.

კერძოდ, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 171-ე მუხლის თანახმად, ალკოჰოლური სასმელის ქუჩაში დალევა, სტადიონზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი საწარმოებისა, სადაც ალკოჰოლური სასმელის ჩამოსხმით, გაყიდვა ნებადართულია, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ, ან საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურცხმყოფ მდგომარეობაში ყოფნა გამოიწვევს დაჯარიმებას 300-ლარით. ამგვარი ქმედების განმეორების შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა უკვე 500 ლარით განისაზღვრება, მესამედ განმეორების შემთხვევაში კი დამრღვევს 700-ლარი ჯარიმა დაეკისრება. გამონაკლის შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომების მიღება ჩაითვლება არასაკმარისად, ჯარიმა განისაზღვრება ადმინისტრაციული პატიმრობით (15 დღე-ღამე).

„ჯი-ეიჩ-ენი“

სქემა, რომლითაც ზურაბ ადეიშვილი და სააკაშვილის დაცვის უფროსი სამშენებლო კომპანიებს აკოტრებდნენ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სამშენებლო კომპანია „M.G. და კომპანია“ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ გამოცხადებულ ტენდერს შეეწირა. მაღალჩინოსნებმა — ზურაბ ადეიშვილმა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილმა უფროსმა, თემურ ჯანაშიამ სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია მიზანმიმართულად გააკოტრეს. მრავალმილიონიანი პროექტი, რომელიც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთათვის ყაზარმების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ითვალისწინებდა, სამშენებლო კომპანიას მძიმე ტვირთად დააწვა. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს პროექტის მთლიანი ღირებულება არ დაუფარავს და კომპანიას მხოლოდ თანხის ნაწილი გადაურიცხა. მეტიც, „M.G. და კომპანია“ სადაზღვევო კომპანია „არდიმ“ დააზღვია და დიდი რაოდენობით თანხის გადახდას, ჯარიმის სახით, ვერც სადაზღვევო კომპანია გადაურჩა. მთავარი მიზეზი, რის გამოც სახელმწიფომ სამშენებლო კომპანია გაწირა ისაა, რომ „M.G. და კომპანიის“ ხელმძღვანელმა ანაკლიაში სასტუმროს მშენებლობაზე უარი განაცხადა.

ყველაფერი 2010 წელს დაიწყო, როდესაც კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტში სამშენებლო კომპანია „M.G. და კომპანიის“ დამფუძნებელი **ზურაბ მახოხიშვილი** დაიბარეს და ანაკლიაში, პატრიოტთა ბანაკის მშენებლობა დაავალეს. „ვერსიასთან“ საუბრისას ზურაბ მახოხიშვილი აცხადებს, რომ ამასთან დაკავშირებით, არც ტენდერი გამოცხადებულა და არც აუქციონი. ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა მას და კიდევ რამდენიმე სამშენებლო კომპანიას უბრძანეს, რომ პატრიოტთა ბანაკის პროექტი განეხორციელებინათ:

„ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტში კატეგორიულად მოგვთხოვეს, რომ პროექტი სამ თვეში დაგვესრულებინა. მშენებლობას კი უშუალოდ, ზურაბ ადეიშვილი კურირებდა. ადგილზე, ანაკლიაში, ზედამხედველობა როლანდ ახალაიას დაავალეს, რომელიც ობიექტზე ყოველდღე მოდიოდა. მოკლედ, პროექტი მართლაც სამ თვეში დავასრულეთ და ანაკლიის პატრიოტთა ბანაკი საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ჩვეული პომპეზურობით გახსნა. თავდაპირველად, თანხის გარკვეული ნაწილი ჩაგვირიცხეს, მაგრამ მშენებლობის პროცესში, პროექტი რამდენჯერმე გადაგვაკეთებინეს და შეგვაცვლევინეს, რაც გარკვეულ ხარჯს უკავშირდებოდა. ზურაბ ადეიშვილი, რომელიც ანაკლიაში საკმაოდ ხშირად ჩამოდიოდა, გვეუბნებოდა, რომ თანხას აუცილებლად აგვინაზღაურებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ობიექტის დასრულების შემდეგ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტები მიიწვიეს, რათა ობიექტის რეალური ღირებულება დაედგინათ. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებმა სამუშაოს დიდი ნაწილი არ ჩაგვითვალეს, პროექტის მთლიანი ღირებულების გარდა, დამატებით, 822 000 ლარი გვერგებოდა და ეს დასკვნაშიც მითითებულია. მიღება-ჩაბარების აქტი გავაფორმეთ, მაგრამ თანხა მაინც არ ჩაურიცხავთ. ბოლოს გადავწყვიტე, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა ზურაბ ადეიშვილის ხელში მოხვედრილიყო, ასეც მოვიქეცი — ოფიციალური წერილითაც მივმართე და თანხის ანაზღაურება მოვითხოვე. მას შემდეგ, რაც დასკვნა და წერილი ადეიშვილს გავუგზავნე, ზუსტად სამ დღეში, აბსურდული ბრალდებით დამაპატიმრეს. ადრე განათლების სამინისტროში ვმუშაობდი, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის ფარგლებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მშენებლობებს ვხელმძღვანელობდი. დამიჭირეს ბრალდებით, თითქოს სასოფლო უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა გარკვეული თანხა მიითვისა და მეც ხელი შევუწყვე ანუ შესაბამის დოკუმენტებზე ხელი მოვაწერე. დაჭერილი 4 თვე ვიყავი და, სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიცოდი, რატომ დამაპატიმრეს. დოკუმენტებზე, რის გამოც მედავებოდნენ, ხელი ნამდვილად არ მომიწერია; მეტიც — 4 თვის განმავლობაში, ერთხელაც არავის დაუკითხივარ, გამომძიებელი თვალითაც არ მინახავს. ბოლოს, 20 000-ლარიანი საპროცესო გარიგება შემომთავაზეს, პროკურორს ვთხოვე, ეჩვენებინა დოკუმენტები, რომლებზეც თითქოს ხელი მქონდა მოწერილი. როდესაც ეს დოკუმენტები საქაღალდიდან ამოიღო, პროკურორი თვითონვე დარწმუნდა, რომ იქ არც ჩემი გვარი იყო ნახსენები და შესაბამისად, არც ხელი მქონდა მოწერილი, თუმცა მაინც მითხრა, თუ გინდა, ციხიდან გახვიდე, საპროცესო გარიგება უნდა გაფორმდესო. დავწერე, რომ ბრალს ვაღიარებდი, მაგრამ ამ საქმეში დევს საბუთები, რომლებზეც ხელი მოწერილი არ მაქვს. ოფიციალურად არავის უთქვამს, რატომ დამიჭირეს, მაგრამ ვფიქრობ, რადგან ანაკლიის პატრიოტთა ბანაკის აშენების შემდეგ, თანხის გადახდა მოვითხოვე, ციხეშიც ამიტომ ჩამსვეს“, — გვიამბობს ზურაბ მახოხიშვილი.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ გამოცხადებულ ტენდერში „M.G. და კომპანიამ“ მაშინ მიიღო მონაწილეობა, როდესაც ზურაბ მახოხიშვილი ჯერ კიდევ ციხეში იჯდა. კომპანიამ ტენდერში გაიმარჯვა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთათვის განკუთვნილი ყაზარმის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის მზადება დაიწყო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ზურაბ მახოხიშვილსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მაშინდელ უფროსს, თემურ ჯანაშიას შორის შესაბამისი ხელშეკრულებაც გაფორმდა. იმის გამო, რომ ეს ხელშეკრულება და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტები გრიფით საიდუმლოა, ზურაბ მახოხიშვილმა „ვერსიას“ მხოლოდ ის განუცხადა, რომ პროექტის ღირებულება რამდენიმე მილიონი ლარი იყო:

„ტენდერში 2011 წლის ზაფხულში გავიმარჯვეთ, სარემონტო სამუშაოები კი დეკემბრის ბოლომდე უნდა დაგვესრულებინა. პრაქტიკულად, ვადებში ვეტეოდით, მაგრამ იმის გამო, რომ ზოგიერთ ყაზარმაში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები ცხოვრობდნენ, სარემონტო სამუშაოები დროულად ვერ შევასრულეთ. შეთანხმებულები ვიყავით, რომ პროექტი 20 დეკემბერს უნდა დაგვესრულებინა, მაგრამ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ მოუციათ. 15 დეკემბერს, ობიექტზე სპეცრაზმი შემოვიდა, სადაც 500-მდე ადამიანი მუშაობდა, ზუსტად ერთი დღის საქმე გვქონდა დარჩენილი, მაგრამ სპეცრაზმმა მუშები გამოყარა ობიექტიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა ხელშეკრულება შეგვიწყვიტა. ამის გამო, თემურ ჯანაშიას უწყებამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის თანხის გადახდა უკვე სადაზღვევო კომპანიას დააკისრა. ჩემი კომპანია „არდიში“ იყო დაზღვეული და შესაბამისად, რამდენიმე ასეული ათასი ლარი სწორედ ამ კომპანიამ გადაიხადა. ობიექტზე, დაახლოებით, 200 000 ლარის სამშენებლო მასალები დაგვრჩა, მაგრამ ეს მასალებიც დაიტოვეს და არ გამოგვატანეს“.

სადაზღვევო კომპანია „არდის“ იურისტი **კობა ბობოხიძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ძირითადი ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც „არდისა“ და „M.G. და კომპანიას“ შორის გაფორმდა, თუ სამშენებლო კომპანია სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ყაზარმებს დროულად ვერ გაურემონტებდა, პასუხს სადაზღვევო კომპანია აგებდა:

„სამშენებლო კომპანიამ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წინაშე საკუთარი ვალდებულება შეასრულა — პროექტის მიხედვით, გარემონტდა შენობა-ნაგებობები, რასაც ხელშეკრულება ითვალისწინებდა. სამწუხაროდ, სამშენებლო კომპანიას ობიექტური, ხელისშემშლელი გარემოებების გამო, პრობლემები შეექმნა, რაც წინა ხელისუფლების ზემოქმედებაში გამოიხატებოდა. სამშენებლო კომპანია სახელმწიფოსთვის კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოს ასრულებდა, მაგრამ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელობა ზურაბ მახოხიშვილს აიძულებდა, ეს სამუშაოები მიეტოვებინა და ანაკლიაში სასტუმრო აეშენებინა. მახოხიშვილმა არ მიატოვა მშენებლობა და ყაზარმის სარემონტო სამუშაოები განაგრძო, რაც დეკემბრის ბოლომდე უნდა დაესრულებინა. როდესაც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წარმომადგენლები დარწმუნდნენ, რომ კომპანია ვადებში ეტეოდა, მოულოდნელად ვადა შეცვალეს. სამშენებლო კომპანიას კი წერილი მიწერეს, რადგან სამუშაოს 15 დეკემბრამდე ვერ ასრულებდა, ერთდღიან ვადას მისცემდა. ერთი დღის შემდეგ კი მე, როგორც სადაზღვევო კომპანია „არდის“ იურისტი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან ვიღებ წერილს, რომ სამშენებლო კომპანია ვადებში ვერ ჩაეტია, რის გამოც „არდის“ ჯარიმა დაეკისრა“.

სადაზღვევო კომპანია „არდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, **ქართლოს პორანაშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ჯარიმის სახით, რამდენიმე ასეული ათასი ლარი გადაიხადა. მისი თქმით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წარმომადგენლებთან შეკამათებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ერთდღიანი დაგვიანებაც კი, დარღვევად მიიჩნევა. მისი თქმით, სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა სამშენებლო კომპანია მიზანმიმართულად გააკოტრა:

„ჯარიმა, რომელიც გადავიხადეთ, სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა სამშენებლო კომპანიასაც დააკისრა. გარდა ამისა, პირგასამტეხლო შესრულებული სამუშაოს ნაწილის მიხედვით კი არა, პროექტის მთლიანი ღირებულებიდან უანგარიშეს. არადა, ვსაუბრობთ პროექტზე, რომლის ღირებულებაც რამდენიმე მილიონი ლარია. ახლა კი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, მის მიერ მშენებლობის დასაწყებად, ავანსად გაცემული თანხის დაბრუნებასაც ითხოვს, რადგან მიიჩნევს, რომ სამშენებლო კომპანიამ ავანსი ვერ აითვისა. რეალურად, სამშენებლო კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ავანსად მიღებულ თანხას ბევრად აღემატება“.

სადაზღვევო კომპანია „არდის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ობიექტები, რომლის დროულ გარემონტებაშიც სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა ეჭვი შეიტანა, 2011 წლის დეკემბრის ბოლოს, პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ საზეიმო ვითარებაში გახსნა. ამის დამადასტურებელი სატელევიზიო სიუჟეტები არსებობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სამშენებლო კომპანიამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დროულად შეასრულა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს პროექტის ღირებულების გადახდა არ უნდა და უკვე გადახდილი თანხის ნაწილის დაბრუნებასაც ითხოვს. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურსა და სადაზღვევო კომპანია „არდის“ შორის მიმდინარეობს. სახელმწიფო სტრუქტურა „არდისგან“ იმ თანხის ანაზღაურებას ითხოვს, რაც სამშენებლო კომპანიას ავანსის სახით გადაუხადა. სადაზღვევო კომპანიამ პირველი ინსტანციაში სასამართლო პროცესი წააგო და გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლოს სხდომა 2013 წლის 10 დეკემბერს გაიმართება.

მართალია, საბოლოო ვერდიქტი მოსამართლემ უნდა გამოიტანოს, მაგრამ სამშენებლო კომპანიის მიზანმიმართულად გაკოტრების სქემაში, რომელშიც სახელმწიფომ სადაზღვევო კომპანიაც ჩაითრია, ბევრი შეუსაბამობაა. რა მიზნით გააკოტრა სახელმწიფომ სამშენებლო კომპანია? „ვერსიას“ „M.G. და კომპანიის“ დამფუძნებელი **ზურაბ მახოხიშვილი** ესაუბრება.

— ბატონო ზურაბ, რატომ შეგიწყვიტათ ხელშეკრულება სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა?

— მიზეზი ის იყო, რომ ამ უწყებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანუ რამდენიმე მილიონი ლარის გადახდა არ უნდოდა, ამიტომ ობიექტი ვადაზე ადრე დაგვატოვებინა და გვითხრა, თითქოს ვადებში ვერ ჩავეტიეთ. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ობიექტზე, სადაც ჯერ კიდევ სახელმწიფო დაცვის სპეციალური დაცვის თანამშრომლები ცხოვრობდნენ და რის გამოც სარემონტო სამუშაოები ვერ დავიწყე, ამის შესახებ თემურ ჯანაშიასთვის ოფიციალურად, წერილობით უნდა მიმემართა.

— რატომ უნდა შეეჩერებინა პროექტი თემურ ჯანაშიას, ყაზარმების გარემონტება ხომ სახელმწიფოს ინტერესში შედიოდა?

— ხელშეკრულება რომ შეგვიწყვიტეს და დავა დავიწყე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ზურაბ ადეიშვილს დაურეკა.

დასასრული მე-8 გვერდზე

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ხელისუფლებისგან მიტოვებულნი

დაპირებული „მოხედვა“, რომელიც მეცხრე თვეა არ სრულდება — რეპორტაჟი გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანიდან

თბილისიდან ხელის ერთ გაწვდენაზე მდებარე გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანის სოციალურ-ეკონომიკური პირობები კრიტიკას ვერ უძლებს, ამიტომ ადგილზე ჩასვლა და რეპორტაჟის მომზადება გადავწყვიტე. „მარშუტკა“ ნავთლუღის სადგურიდან ყოველ 15-20 წუთში გადის, მგზავრობა ლარი ღირს. კახეთის გზატკეცილიდან გადახვევისთანავე, ვაზიანში თავდაცვის სამინისტროს ნაწილს მივუყვებით — სამხედრო ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, გაგიხარდება. ბოლოში წრეს ვაკეთებთ და სამოქალაქო დასახლებაში შევდივართ. პირველი, რაც ბოლო გაჩერებაზე თვალში მხვდება, ჩაღრმავებული ტერიტორიის შუაგულში აღმართული რკინის ჯვარია — ირგვლივ იმდენი ნაგავი ყრია, მიახლოება გაგიჭირდება. რატომ დადგეს ჯვარი მაინცდამაინც აქ და მერე ასე, უმოწყალოდ მიატოვეს? — ამოუხსნელია... არადა, ეს ადგილი — გაჩერება დასახლების სავიზიტო ბარათივითაა.

„წიაღსვლებისთვის“ დრო არ მაქვს და „ხრუშჩოვკის“ ტიპის დასახლებაში შევდივარ. კორპუსებს შორის სამხედრო კარავია გაშლილი — 8 თვის წინ ერთ-ერთმა კორპუსმა დრო-ჟამსა და ჭერიდან ჩამომავალ წყალს ვეღარ გაუძლო და სანახევროდ ჩამოინგრა. თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახები როგორღაც ნათესავებსა თუ სხვა მიტოვებულ ობიექტებში გადაანაწილეს, მამაკაცებისთვის კი, სამხედრო ნაწილის დახმარებით, კარავი იმ იმედით დასცეს, რომ მალე თავშესაფარს მოუძებნიდნენ, მაგრამ როგორც მავანი იტყოდა, ნურას უკაცრავად — ისინი დღესაც კარავში არიან და შველას ელიან.

ხვიჩა გოგია კარავში მეპატიჟება, რომელიც ძმასთან, გოჩასთან ერთად ცხოვრობს. შიგნით ისევე ცივა, როგორც გარეთ: შეშის ღუმელი კი აქვთ, მაგრამ იქაურობას სათანადოდ ვერ ათბობს. ხვიჩა ამბობს, რომ კარავიც სამხედრო ნაწილის დამსახურებაა, თორემ გარეთ დარჩენა არ ასცდებოდათ. მისივე თქმით, მათ გარდა, კარავში მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენლებიც არიან, რომლებიც სხვაგან უბრალოდ ვერ დაეტივნენ.

„უსახლკაროდ დარჩენილი რვასულიანი ოჯახი სკოლის ოთახში ცხოვრობს. დირექტორმა უთხრა, აქ იყავით, ვიდრე თავშესაფარს მოგინახავენო, მაგრამ 8 თვე გავიდა და კვლავ 15 კვადრატში არიან გამოკეტილები. პრემიერ-მინისტრსაც მივმართეთ, უსახლკარო 80ოჯახისთვის პროექტიც შევადგინეთ აქვე, ვაზიანში სოფლის ტიპის დასახლების შექმნაზე, მიწის ნაკვეთებითა და სხვა ელემენტარული აუცილებლობით, მაგრამ შედეგი არაა — პრემიერ-მინისტრმა პროექტი ფინანსთა სამინისტროს გადაუგზავნა — გვითხრეს, მოგხედავთო, მაგრამ ჩვენთან აღარავინ მოსულა. ბოლო პასუხი, დაახლოებით, ორი თვის წინ მივიღეთ, ამასობაში, ზამთარი მოვიდა და კარავში დარჩენილებს არაფერი გვაბადია. მხოლოდ ჯარი გვეხმარებოდა ხუთი თვის განმავლობაში, შემდეგ ესეც შეგვიწყდა. მერვე თვეა არაფერი გვაქვს, წვალებით ვარსებობთ. დასაქმება გვინდოდა ბინების გარემონტებაზე — აქვე, დევნილთა სამინისტრო აკეთებს ერთ კორპუსს, მაგრამ, ძირითადად, თავისი ხალხი მოჰყავთ და ჩვენთვის ადგილი არ რჩება. მხოლოდ ერთჯერადი დახმარება მივიღეთ — იმას, ვინც სამხედრო ქალაქთან კავშირშია, თავდაცვის სამინისტრო დაეხმარა, ჩვენ კი, დანარჩენმა 8 ოჯახმა, ერთჯერადად 300-ლარიანი დახმარება მივიღეთ. წითელმა ჯვარმა ერთხელ წამლები მოგვიტანა, ეს იყო და ეს“, — ამბობს ხვიჩა გოგია.

მისივე თქმით, საცხოვრებელი კორპუსი იმის გამო ჩამოინგრა, რომ კანალიზაცია არ არსებობდა, წყალს გასასვლელი არ ჰქონდა და კორპუსი წლების განმავლობაში ზიანდებოდა: **„ჩაიზე „სუხარს“ რომ დადებ, ისე ნელ-ნელა დალპა ეს კორპუსი — საძირკველში წყალი იდგა. ვთქვით, ვიდრე ახალ თავშესაფარს მოგვცემენ, ნახევრად დაზიანებულ კორპუსში შევალთო, მაგრამ სახელმწიფომ შედეგებზე ვალდებულება უნდა აიღოს. ჩემი სახლი ჩამონგრეული არ არის, მაგრამ იმხელა საშიშროებაა, რომ გვირჩიეს, არ შევსულიყავით. ზამთარი მოვიდა და აუცილებლად უნდა მოგვხედონ. მალე ვაზიანის ყრილობა ჩატარდება, რომელზეც მთავრობის წარმომადგენლებიც ჩამოვლენ. გვითხრან ბოლოს და ბოლოს — კარავში გვტოვებენ თუ ჩვენი ძალით უნდა მოვიმოქმედოთ რამე, აქ ხომ არ გავიყინებით?“**

ხვიჩასა და გოჩასგან განსხვავებით, მარო აბულაძე დღესაც ნახევრადჩამონგრეულ კორპუსში ცხოვრობს... ისიც თავის დროზე ნათესავებთან გადაიყვანეს, მაგრამ ვერ გაუძლო — ონკოლოგიური ავადმყოფია და განსაკუთრებულ გარემოს საჭიროებს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქალბატონი, ყოველდღე კორპუსის ჩამონგრევას ელოდება: **„ამ ნახევრადდანგრეულ კორპუსში ექვსი სული — მეუღლე, რძალი შვილი და ორი შვილიშვილი ვცხოვრობთ და ყოველდღე ჩამონგრევას ველოდებით. ბინა რომ დაინგრა, მძახალთან გადავედით, მაგრამ მასაც სივიწროვე ჰქონდათ, თან სწავლაც დაიწყო და იძულებულნი გავხდით, ბავშვების გულისთვის, ისევ აქ გადმოვსულიყავით. კიბო მაქვს, სიმშვიდე მჭირდება — დღისით ბავშვები სკოლაში მიგვყავს და ცოტა ვმშვიდდები... როცა ბინა დაინგრა, ჩემი შვილი რევაზ აბულაძე ავღანეთში იყო — 6 თვე კონტრაქტით იმსახურა, ახლა კი კრწანისში მსახურობს. იანვარში გერმანიაში მიდის, საიდანაც კვლავ ავღანეთში გაემგზავრება... თავის დროზე ერაყშიც იყო, ყველა ცხელი წერტილი მოვლილი აქვს. ავღანეთიდან ბოლოს რომ დაბრუნდა, ძველი ფოსტის შენობაში ერთი ოთახი მოგვცეს, არც დენი იყო, არც წყალი და ტუალეტი. გარემონტების საშუალება არ გვქონდა, ამიტომ ვითხოვეთ დახმარება. ავუთხსენი, ავადმყოფი ვარ, აქ ვერ გავჩერდები-მეთქი და ისევ დანგრეულ კორპუსში დავბრუნდი. საკითხის განხილვას დაგვპირდნენ, მაგრამ შედეგი არ მიგვიღია. აქამდე ასე მოვედით — რომ გაწვიმდება, შიში მკლავს, კორპუსის ეს ნაწილიც ბოლომდე არ ჩამოწვეს. ადრე რომ ჩამოინგრა, სახლში ვიყავით, მაგრამ გაქცევა მოვასწარით. სოფელი კი მაქვს ადიგენის რაიონში, მაგრამ დაავადებულ ადამიანს მიჭირს ჩასვლა. მეორე შვილიც ჯარისკაცია — კოჯორში მსახურობს, დაბლა, სამოთახიანში ცხოვრობს, სამი შვილი ჰყავს. იქაც გაპარტახებული ბინებია. ზამთარი მოდის და რამენაირად თუ გავატანე, მერე წავალ სოფელში, აბა, რა ვქნა? ნორმალური ექიმი არ გვყავს და ასე ყოფნა აღარ შემიძლია“.**

ლია ცუცქირიძე მეზობელ კორპუსში ცხოვრობს. ამბობს, რომ ცხოვრებამ მარტო დატოვა, მაგრამ უფრო დასახლებაში არსებულ მწვავე პრობლემებსა და მომავალ თაობაზე წუხს, რომელსაც ვაზიანში განვითარება არ უწერია:

„აქაურ ბავშვებს ეკრანზე კინო არ აქვთ ნანახი, არ იციან, რა არის თეატრი... ერთადერთი, ფეხბურთის მოედანი გვაქვს სკოლის ეზოში და ბავშვებს სათამაშოდ არ უშვებენ, ქვებით დასდევს სკოლის დამლაგებელი... ერთი პატარა სამედიცინო პუნქტი გვაქვს, ექიმი პროფილით გინეკოლოგია, მაგრამ აქ ონკოლოგიც ის არის, ქირურგიც, ოფთალმოლოგიც... მაგრამ როგორც ვატყობთ, ბევრი არაფერი იცის. ერთხელ, მეზობელი ქალი გახდა ავად — ბოდიში და, სისხლდენა ჰქონდა, მომცეს ამ ექიმის ნომერი და ვურეკავ. გოგო კვდება და მომეშველე-მეთქი. დღის 5 საათი იქნებოდა, მეუბნება, ხვალ, 12 საათისთვის რუსთავში ჩამომიყვანეთო. აი, ასეთი გინეკოლოგია და წარმოიდგინეთ, სხვა დარგში რა იქნება“.

ლია ცუცქირიძე ამბობს, რომ უმუშევრობის მხრივ, ვაზიანში კატასტროფული მდგომარეობაა და სოციალური დახმარების მიღებაც გართულებულია:

„ათი განცხადება დავწერე გარდაბანში სოციალურ დახმარებაზე, მაინც არ მომცეს. სოციალური აგენტი მოდის და ყველაფერში ნულს წერს. ერთი, მაინტერესებს, რაზე ამრავლებენ ამ ნულებს, რომ დახმარებას მაინც არ მაძლევენ? სულ სხვადასხვა ქულებს წერენ, რომ კუთვნილი მცირე დახმარებაც არ მომცენ. როცა დაუცველის სტატუსს ვფლობდი, 52 ათასი ქულა მქონდა, ამის მერე 86-ზე ავიდა, ახლა 72-ია, ვერ ვიგებ, რა ხდება. გარდაბანში ჩავედი და ამ ამბავს ასე არ დავტოვებ-მეთქი, ვუთხარი. ქალბატონო, თავიდან დაწერეთ განცხადებაო, მიპასუხეს. რამდენჯერ დავწერო და აგენტის მოსვლას სამი თვე როგორ ველოდო? გამგეობის თანამშრომელმა მითხრა, მარტო ვმუშაობ და ხუთ სულს ვინახავ, თქვენ კი 150-ლარიანი პენსია გაქვთო. ვუპასუხე, თქვენც დარჩით ერთი სული ოჯახში და 150 ლარი იკმარეთ-მეთქი. ფორმა №100 მომიტანე, რომ ავადმყოფი ხარო. ადამიანი 60 წელს რომ გადასცდება, ფორმა №100 რად უნდა? 50 წელს გადაცილებული, ქალი თუ კაცი, ამ ქვეყანაში ყველა ავადმყოფია. არც ერთი კბილი რომ არ მაქვს დარჩენილი, ამას ბევრი ლაპარაკი სჭირდება?

გარშემო, ხედავთ, ტრამალებია, მაგრამ ერთი გოჯი დასამუშავებელი მიწა არ გვაქვს. პროექტი შევადგინეთ, განცხადება შევიტანეთ, მაგრამ მიწა ვერ ვიშოვეთ, რომ უსახლკარო ოჯახებს კოტეჯები აგვეშენებინა. 5 მილიონამდე ჯდებოდა მთელი ეს ინფრასტრუქტურა. საკონსერვო ქარხანა, ღორისა და ძროხის ფერმები უნდა გაკეთებულიყო, მედპუნქტი, ეკლესია, პატარა დასახლებისთვის ყველაფერი გათვლილი იყო. პროექტი ახლა ნარმანიასთან დევს და არც ვიცით, ხელი მოაწერა თუ არა. იმედი გვაქვს, ახალი მთავრობის პირობებში, როგორმე განვახორციელებთ. ეს თუ გაკეთდა, ხალხი ცოტა მაინც ამოისუნთქებს. მთავრობისგან გრძელვადიან სესხს ვითხოვთ, რომ ეტაპობრივად გადავიხადოთ“.

კიდევ ერთი უსახლკარო ციალა მერაბიშვილია, რომელიც ახლა ავტოფარეხში ცხოვრობს და ამბობს, რომ კონკრეტულად მისი ბინა არ ჩამონგრეულა, მაგრამ კორპუსში შესვლის ეშინია — მუდმივი საფრთხეა, თან ვერ ეგუება, რომ ირგვლივ ადამიანები აღარ ცხოვრობენ:

„ვაზიანში 1961 წლიდან ვცხოვრობ.. კორპუსი რომ დაინგრა, ამ „გარაჟში“ გადმოვედი, სხვაგან ჭერი არ მქონდა და სად წავსულიყავი? ნივთები კორპუსში მაქვს, მაგრამ იქ ვეღარ ვრჩები, მეშინია არ ჩამოინგრეს. რომ შევდივარ, ჟრუანტელი მივლის — ხალხი აღარ ცხოვრობს... აცივდა და არ ვიცი, რა მეშველება. დახმარება ერთჯერადად — სამასი ლარი მოგვცეს, მაგრამ ეს ხომ არაფერია? — შეშა მაინც მოეტანათ, ცოტა ამოვისუნთქებდი. კორპუსში რომ დავბრუნდე, რა გარანტიაა, რომ არაფერი მოუვა? ვინმე მაინც მოვიდეს და, ცხრა თვე ამ მდგომარეობაში რომ ვართ, გვითხრას, რას გვიპირებენ. იმედი მაინც გვქონდეს, სადმე ააშენებენ ბინას და თავშესაფარს მოგვცემენ. მე აქვე მაწყობს — საქონელი მყავს, ახლოს ვიქნები და მოუვლი“.

ვაზიანის სკოლის ერთ ოთახში დიანა გიგაური გვხვდება ხუთი შვილითა და შვილიშვილით: **„ამ ოთახში ვცხოვრობთ. ჭერი სველდება და ვარდება, აი, ახლაც ჩამოვარდა. მეუღლე წავიდა, რომ გაჯი მოიტანოს და გააკეთოს. ძველი სახურავია და წყალს უშვებს. გათბობას ჩვენი ძალებით ვახერხებთ, შეშა მოგვაქვს და ასე გავდივართ ფონს“.**

მძიმე შთაბეჭდილებებით ვტოვებ ვაზიანის დასახლებას. გაჩერებაზე თვალი კვლავ ეულად მდგომი რკინის ჯვრისკენ გამირბის, რომლის ირგვლივ ნაგავი უფრო მომატებულა. „ღვთისგან დავიწყებული მხარე“ დედაქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში შველას ითხოვს — ის კორპუსი ბოლომდე თუ ჩამოინგრა, მერე ყველაფერი დაგვიანებული იქნება.

„მალე შეიძლება, გადაშენების პირას მყოფ ერად გვაღიაროონ, სადაც ყველა კიბოთია დაავადებული!“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04



ოფიციალური სტატისტიკა, თუ რამდენი ადამიანია საქართველოში კიბოთი დაავადებული, არ არსებობს. ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის მონაცემებით კი, ქვეყანაში სიმსივნური დაავადების დიაგნოზს ყოველწლიურად 7 ათას ადამიანს უსვამენ — ონკოდაავადებულთა საერთო რაოდენობა 35 ათასია. ექიმები აცხადებენ, რომ დაავადება გაახალგაზრდავდა ანუ ბავშვებშიც გახშირდა და აგრესიულიც გახდა — გამომჟღავნებიდან ძალიან მალე ლეტალურ შედეგს ვიღებთ. რა იწვევს კიბოს? — ამ კითხვაზე პასუხი მეცნიერებს დღემდე არ აქვთ, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ სიმსივნური დაავადებები განპირობებულია გენეტიკური დარღვევებით, ამ უკანასკნელის მიზეზი კი, კიბოს კვლევის ცენტრის კლინიკური ხელმძღვანელის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ექიმ-ონკოლოგისა და გენეტიკოსის, ალექსანდრე თავართქილაძის აზრით, შესაძლოა, გენმოდიფიცირებული პროდუქტის სისტემატური მიღება იყოს.

ონკოლოგიური დაავადებების გახშირების მიზები გენმოდიფიცირებული პროდუქტია?!

— ეტიკეტზე რომ ეწეროს, გენმოდიფიცირებულიაო, პირადად მე, ამ პროდუქტს არ ვიყიდი. პრობლემა ის არაა, რომ გარკვეულ პროდუქტს მოდიფიცირებული გენომი აქვს, მიღების შემდეგ ეს დნმ დაიშლება და ორგანიზმი ისე აითვისებს, როგორც უნდა, პრობლემაა, როგორ ხდება უცხო გენის კონკრეტულ პროდუქტში ინპლანტაცია. საქმე გვაქვს დაბალმოლეკულურ ბიორეგულატორთან, რომელიც ჯანმრთელი ორგანიზმის დნმ-ს გარდაქმნის, როგორც გარდაიქმნა დნმ, მაგალითად, მარწყვში ან ალუბალში, ისევე შეუძლია გარდაქმნას დნმ ადამიანის ორგანიზმშიც. მარწყვსა და ალუბალში ეს გაკეთდა მიზანმიმართულად — წინასწარ იყო დადგენილი, რომ უნდა მისცეს, მაგალითად, კარგი გემოვნური თვისებები, ვიზუალურად უკეთესი გახდეს... ყველაფერი ეს გათვლილი იყო, რაზეც ბოტანიკოსებმა მთელი რიგი კვლევები თუ ექსპერიმენტები ჩაატარეს, ის კი არავის შეუსწავლია, ამგვარი პროდუქტის მიღებით ადამიანის ორგანიზმში რა პროცესი დაიწყება — ამ საკითხზე გენეტიკური, სერიოზული კვლევა არსად მინახავს, არადა, მან გავლენა შეიძლება ადამიანის გენომზე მოახდინოს და გენეტიკური აპარატი მთლიანად შეცვალოს.

— გენეტიკური აპარატის შეცვლის პროცესი როგორ მიმდინარეობს და რა შეიძლება გამოიწვიოს?

— რისკი საკმაოდ დიდია... ადამიანის ორგანიზმში შეგვყავს უცხო ნივთიერება, რომელიც აუცილებლად მოახდენს ზეგავლენას დნმ-ზე — შეცვლის მის სტრუქტურას, სტრუქტურაშეცვლილი დნმ კი თავად იწყებს აღდგენას, თანაც ეს პროცესი გეომეტრიული პროგრესიით ვითარდება, რათა წარმოიქმნას მაქსიმალურად ჯანმრთელი უჯრედები. რაც უფრო სწრაფად იყოფა უჯრედები, მით მეტია ალბათობა, რაღაც შეცდომა მოხდეს. სხვათა შორის, კიბოც, დაახლოებით, ამ მექანიზმით ვითარდება — უჯრედების სწრაფად გამრავლებისას, წარმოიქმნება ერთი უჯრედი, რომელსაც აქვს უკონტროლო გამრავლების უნარი.

— ანუ გენმოდიფიცირებული პროდუქტის მიღებამ ორგანიზმში შეიძლება სიმსივნე წარმოქმნას?

— ლაპარაკი მხოლოდ სიმსივნურ დაავადებებზე არაა... ონკოლოგიის დარგში სერიოზული კვლევებია ჩატარებული, რომ კანცეროგენეზი გენომის პრობლემაა და შესაბამისად, ასეთ დროს დიდი ალბათობაა, განვითარდეს სიმსივნე ანუ უჯრედის გამრავლების მოშლამ შეიძლება მიგვიყვანოს კიბომდე. გარდა ამისა, ონკოლოგიურ დაავადებებზე აქცენტი იმიტომ გაკეთდა, რომ საზოგადოებისთვის ტერმინი „კიბო“ თავზარდამცემია. ნებისმიერი უცხო რამ, რაც შემოდის, პირველ რიგში, ბადებს კითხვას — ხომ არ გამოიწვევს ეს კიბოს. არავის მოუვა აზრად, იკითხოს, ესა თუ ის სიახლე ხომ არ გამოიწვევს ეპილეფსიას, შიზოფრენიას ან შაქრიან დიაბეტს? ეს დაავადებები ხომ, კიბოს მსგავსად იდიოპათიურია, რადგან არ ვიცით მათი განვითარების მექანიზმი და მიზეზები; სამაგიეროდ ვიცით, რომ ისინი განპირობებულია გენეტიკური დარღვევებით. შესაბამისად, გმ პროდუქტმა ისეთივე „წარმატებით“ შეიძლება განავითაროს დიაბეტი ან შიზოფრენია, როგორც სიმსივნე.

— ესე იგი, გმ პროდუქტი აუცილებლად რაიმე დაავადების გამომწვევია?

— კარგს რომ არაფერს მოგვიტანს, ცხადია, რადგან ადამიანის ორგანიზმში ბიოლოგიურ კანონზომიერებას ხელოვნურად ვარღვევთ და ამ საკითხზე ნებისმიერ გენეტიკოსს შეევედავები. რაიმე პროცესის განვითარება ადამიანის ორგანიზმში აუცილებელი რომ იყოს, გენეტიკური აპარატი ამას თვითონ შეძლებდა, რადგან ადამიანის დაზიანებულ დნმ-ს რეპარაციის, აღდგენის ფანტასტიკური უნარი აქვს.

— ადამიანის ორგანიზმზე ექსპერიმენტი არ ჩატარებულა და არავის დაუდგენია, ვნებს თუ არა გმ პროდუქტი. სამაგიეროდ, ვირთხებზე ჩატარებული ცდების შედეგად დადგინდა, რომ მღრღნელები, რომლებიც 2-3 წლის განმავლობაში გმ სიმინდსა და ხორბალს მიირთმევდნენ, კიბოთი დაავადდნენ. მეცნიერების ნაწილი ამტკიცებს, ვირთხისა და ადამიანის დნმ-ი განსხვავებულია და ამ ცდით არ შეიძლება დავასკვნათ, რომ გმ პროდუქტი ადამიანშიც გამოიწვევს სიმსივნურ დაავადებებსო. ამ აზრს ეთანხმებით?

— კვლევა, რომელზეც ვსაუბრობთ, პარიზში, კანცეროლოგიის ცენტრში ჩატარდა და მას ფრანსუა ეგერმონდი ხელმძღვანელობდა. საინტერესოა, რატომ დაიწყეს ამგვარი ექსპერიმენტი — დათესეს გმ ხორბალი, რომელიც დალპა, არ გაღვივდა და მიხვდნენ, რომ ეს პროდუქტი სიცოცხლისუუნაროა ანუ მასში გენეტიკური აპარატი დათრგუნულია. დაიწყეს კვლევა და აღმოჩნდა, რომ მასში გამრავლების დამუხრუჭებული სისტემებია, შემდეგ დაიწყეს კვლევა, როგორ მოქმედებს ვირთხების დნმ-ზე და მიიღეს შედეგი, რომელიც უკვე ახსენეთ. თაგვის დნმ-ი, ადამიანის დნმ-ის მსგავსად, იმ 4 ნუკლეოტიდისგან (ადენინი, გუანინი, თიმინი და ციტოზინი) შედგება, რომლითაც ზოგადად, მთელი ცოცხალი სამყარო იქმნება, მხოლოდ თანმიმდევრობაა გასხვავებული — დნმ-ის ბაზისი, საწყისი მასალა ყველგან ერთნაირია და აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგად დაიდო დასკვნა — რადგან აღნიშნული გმ პროდუქტი, ძირითადად, ზეგავლენას ახდენს გამრავლების გენებზე, მას შეუძლია იმოქმედოს ადამიანის უჯრედის გამრავლებაზეც, ასეთ შემთხვევაში კი დიდია სიმსივნის განვითარების ალბათობა, რადგან კიბო სწორედ გამრავლებადი უჯრედის პათოლოგიაა. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ეს დასკვნა აღნიშნული ინსტიტუტის საიტზე დაიდო, მაგრამ მალევე, არ ვიცი რა მიზეზით, გაქრა.

— ანუ შეიძლება ვთქვათ, რომ კიბოს შემთხვევების გახშირება გმ პროდუქტის წარმოება-გაყიდვასთან პირდაპირ კავშირშია?

— რა იწვევს კიბოს? — ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს და მხოლოდ ლოგიკურად შეგვიძლია ვიმსჯელოთ: დაახლოებით 100 წლის წინ, სიმსივნური დაავადებები ცნობილი იყო, მაგრამ მაშინ, ძირითადად, წერდნენ დაავადებების აღწერილობებს ანუ იყო ინფორმაცია, როგორ მიმდინარეობდა ესა თუ ის ავადმყოფობა და ამ ფონზეც კი, რიცხობრივი მაჩვენებელი არსებობდა, რამდენი ადამიანი იყო კიბოთი დაავადებული. 1900-იანი წლებიდან სიმსივნური დაავადებები გასამმაგდა. გავიხსენოთ, რა შეიქმნა ამ პერიოდიდან — განვითარდა ტექნოლოგიები ისე, რომ ლამის ადამიანის თავის ტვინმა მიიღოს უკვე ინფორმაცია მობილური ტელეფონის გარეშე. პარალელურად, სურსათზე მოთხოვნა გაიზარდა და შეიქმნა საკვების პრობლემა. მეცნიერები იძულებულნი გახდნენ, ადამიანის პოპულაციის გამოსაკვებად რაღაც მოეფიქრებინათ და მიიღეს გმ პროდუქტი. სწორედ ამ პერიოდიდან ხშირდება სიმსივნური დაავადებები ანუ საკმაოდ მკვეთრი კავშირი არსებობს და შეიძლება იფიქრო, რომ გმ პროდუქტი სიმსივნეს იწვევს.

— ამბობენ, ორსულობის პერიოდში გმ პროდუქტის მიღება ნაყოფის მოშორების მიზეზიც შეიძლება გახდესო.

— შეიძლება... როდესაც გმო ადამიანის ორგანიზმში მოხვდება, არავინ იცის, კონკრეტულად, რას გამოიწვევს. შეიძლება, პლაცენტის მოწყვეტა გამოიწვიოს, შეიძლება პირიქით — მიხორცება და ამ მხრივ შეიქმნას პრობლემა. სასურველი არც ნაყოფის განვითარებისთვისაა.

— ამბობთ, რომ სიმსივნური დაავადებების რიცხვი, 1900-იანი წლების შემდეგ, გასამმაგდა. ამ მხრივ საქართველოში როგორი სტატისტიკაა?

— საქართველოში ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, რადგან არ არსებობს კიბოს რეესტრი. დაახლოებით 2 წლის წინ, ჯანდაცვის სამინისტროში კიბოს რეესტრის შექმნაზე რომ დავიწყეთ საუბარი, ასეთი პასუხი მივიღეთ — კიბო გადამდები დაავადება არაა და რეესტრი რა საჭიროა, სახელმწიფო არ არის ვალდებული, სტატისტიკური მონაცემი შექმნასო. დღეს მიდის მუშაობა, რომ რეესტრი გაკეთდეს და შესაბამის პროგრამაში მეც ვარ ჩართული. მსოფლიო სტატისტიკით, ქალებში მკერდის სიმსივნე უფრო ხშირია, მამაკაცებში — ფილტვისა და პროსტატის, თუმცა ბოლო კვლევით, რომელიც საფრანგეთში ჩატარდა, დადგინდა, რომ ფილტვის კიბოს მაჩვენებელი ქალებსა და მამაკაცებში გათანაბრდა, რადგან ქალები მამაკაცებს მოწევაში გაეჯიბრნენ. საქართველოში, ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ინფორმაციით, ყოველწლიურად, 7 ათასამდე ახალი შემთხვევა ვლინდება და 35 ათასი ადამიანია დაავადებული. თითოეული პაციენტი კი, დიაგნოზის დასმის შემდეგ, მაქსიმუმ, 5 წელს ცოცხლობს.

— პედიატრების განცხადებით, კიბოს შემთხვევები ბავშვებშიც გახშირდა. გამოდის, ავადმყოფობა გაახალგაზრდავებასთან ერთად, აგრესიულიც გახდა?

— დიახ, კიბოს შემთხვევები ბავშვებშიც ხშირია. მაქსიმუმ 5 წელი კი, მართლაც, ძალიან ცოტაა. პირდაპირ ვიტყვი — ეს კატასტროფული სტატისტიკაა — მალე შეიძლება, გადაშენების პირას მყოფ ერად გვაღიაროონ, სადაც ყველა კიბოთია დაავადებული.

სქემა, რომლითაც ზურაბ ადეიშვილი და სააკაშვილის დაცვის უფროსი სამშენებლო კომპანიებს აკოტრებდნენ

მე-6 გვერდიდან

სხვათა შორის, ამ ყაზარმების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებსაც ზურაბ ადეიშვილი კურირებდა. ამის შემდეგ, ჩემს კომპანიაში პროკურატურის თანამშრომლები შემოვიდნენ, უკაცრავად, მაგრამ ნაგვის ყუთში რომ ქაღალდები ეყარა, ისინიც კი წაიღეს შესამოწმებლად. პროკურატურამ საქმე ფულის გათეთრების მუხლით აღგვიძრა და კიდევ კარგი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა მოგვისწრო, თორემ ისევ დამაპატიმრებდნენ. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 2012 წლის 6 ნოემბერს მივმართე პროკურატურას, სადაც ყველაფერი დეტალურად აღვწერე — ანაკლიის პატრიოტთა ბანაკიდან დაწყებული, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ტენდერით დამთავრებული. სამწუხაროდ, პროკურატურაში ჩვენი საბუთები დაკარგულია, რასაც დღემდე ვერ პოულობენ. მას შემდეგ, რაც პროკურატურაში განცხადება შევიტანე, დამიბარეს და დამკითხეს კიდეც, მაგრამ უშედეგოდ. ამ საბუთების პოვნა ძნელი არ არის, ჩამოვწერე კონკრეტულად, სად და რომელ უწყებაში შეეძლოთ მათი მოძიება, მაგრამ რადგან არ მოინდომეს და თავი არ შეიწუხეს, ვფიქრობ, ჯერ კიდევ ნაციონალურ მოძრაობას თანაუგრძნობენ. ახლა, როდესაც მთავარ პროკურატურაში ხელმძღვანელობა შეიცვალა, ვაპირებ, მთავარ პროკურორს შევხვდე.

— ტენდერში გამარჯვების შემდეგ თემურ ჯანაშიამ ანაკლიაში სასტუმროს მშენებლობა შემოგთავაზათ?

— კონკრეტულად, თემურ ჯანაშიამ არა, სიტყვიერად შემომთავაზეს ანაკლიის მშენებლობაში მონაწილეობა, მაგრამ უარი ვუთხარი. ანაკლიის პატრიოტთა ბანაკის მშენებლობაში „გამოცდილება“ უკვე მქონდა და უარი ამიტომაც ვთქვი. ვფიქრობ მიზეზი, რის გამოც სახელმწიფომ მიზანში ამომიღო, ანაკლიის პატრიოტთა ბანაკის პროექტს უკავშირდება. როგორც ჩანს, არ მოეწონათ, თანხა რომ მოვითხოვე, ამის გამო დამიჭირეს კიდეც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი იგივე ანაკლიაში, სასტუმროს მშენებლობაზე უარი განვაცხადე, სხვა მიზეზი ნამდვილად არ ყოფილა. ესეც ჩემი ვარაუდია, თორემ ოფიციალურად არავის უთქვამს, რატომ შემიჩერეს ხელშეკრულება და თანხის გადარიცხვაზე უარი რატომ თქვეს.

— სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ავანსად გაცემული თანხის დაბრუნებას რატომ ითხოვს?

— 1 800 000 ლარზე საავანსო გარანტია მქონდა, მაგრამ ეს სამუშაოები შევასრულეთ, ახლა კი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური დამატებით, 500 000 ლარზე მეტს ითხოვს. მოსამართლემ ამ სამსახურის წარმომადგენლებს უთხრა კიდეც, თუ ეს თანხა გადახდილია და სამუშაოც შესრულდა, რაღას ითხოვთო, რაზეც ვერაფერი უპასუხეს. ვიფიქრე, მოსამართლე ჩვენს სასარგებლო განაჩენს გამოიტანს-მეთქი, მაგრამ 500 000 ლარზე მეტის გადახდა მაინც დაგვაკისრა. 10 დეკემბერს გაიმართება სასამართლო პროცესი და იმედი გვაქვს, სიმართლეს დავამტკიცებთ.

— ნაციონალური მოძრაობის პარტიის ანგარიშზე გარკვეული თანხა ხომ არ გადაგირიცხავთ?

— ასეთი შეთავაზებები მქონდა, თუმცა ერთი თეთრიც არ გადამირიცხავს. შესაძლოა, ესეც იყო მიზეზი, რის გამოც ჩვენი კომპანია მიზანმიმართულად გააკოტრეს.

— თემურ ჯანაშიას იცნობდით?

— მხოლოდ შორიდან. ისიც იმიტომ, რომ ზოგჯერ ობიექტზე მოდიოდა...

P.S. „ვერსია“ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსაც დაუკავშირდა, მაგრამ სამსახურის წარმომადგენლებმა კომენტარისგან თავი შეიკავეს.

1. მიწისქვეშეთის მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში
2. საგანგებო სამხედრო სასამართლო
3. ერთ-ერთი პალმის ნაყოფი
4. თვითმფრინავების სადგომი
5. ერთგვარი სისტემის რევოლვერი
6. ზორა-ასტრიზმის წმინდა წიგნი
7. მოთხილამურის ფეხსაცმელი
8. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპაში
9. ცნობილი ნორვეგიელი დრამატურგი
10. კანის ქრონიკული დაავადება
11. მეცნ. ბუნების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის შესახებ
12. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
13. საქონლის „სუფთა“ წონა
14. სემის და იაფეტის ძმა
15. ქალაქი ესპანეთში
16. მმართველი დაღესტანში
17. სამხრეთ ჩინეთში მცხოვრები ხალხი
18. ლეგენდარული რუსი მეკარე
19. ბეისბოლის მსგავსი თამაში რუმინეთში
20. თხის ნაშიერი
21. ცნობილი ესპანელი საფეხბურთო მწვრთნელი
22. ლექსში შინაარსობრივად და რიტმულად გაერთიანებული რამდენიმე სტრიქონი
23. უიღბლო ადამიანი ინგლისურ სლენგზე
24. შოკოლადის ხე
25. სოფელი წალენჯიხის რაიონში
26. პოეტი ... მღვიმელი
27. გერმანული ავტომარკა
28. ანტიკური ორთვლიანი ეტლი ოთხი ცხენით
29. ცხენის რძისგან დამზადებული სასმელი
30. ხორციანი კორკოტი
31. მსახიობი ... ჯიგარხანიანი
32. ინდუისტთა სულიერი მოძღვარი
33. ჩანთიანი ცხოველი, ავსტრალიის სიმბოლო
34. მომღერ-ლის ხმის ბგერითი დიაპაზონის მონაკვეთი
35. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში
36. პირველი კლონირებული ცხვრის სახელი
37. ადამიანები მსგავსი გარეგნული ნიშნებით
38. გემის აცდენა კურსიდან ქარის გავლენით
39. ტარიელის მამა „ვეფხისტყაოსანში“
40. მალარიის გადამტანი მწერი
41. კვაზიმოდოს სატრფო
42. ავტოდორომით ცნობილი ქალაქი იტალიაში
43. სკანდინავიელი მეომარი მეზღვაური
44. ქართული ანბანის მე-17 ასო
45. დანანების გამომხატველი ძორისდებული
46. მსხლის ჯიში
47. „მე“ - ლათინურად
48. კავკასიის მთიელ ხალხთა მეთაური მე-19 საუკუნეში
49. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
50. სიცხიანის სადები წამ.
51. იგივე თოვგინა
52. რუსეთის „მრისხანე“ მეფე
53. ვირტუოზული მუსიკალური პიესა
54. რუსეთის დომენი ინტერნეტში
55. ანგლო-ირლანდიელი დრამატურგი
56. იგივეა, რაც მატადორი
57. არტემიდეს და აპოლონის დედა
58. გიტარის კორპუსის ნაწილი
59. აბელის და კაინის მამა
60. ენაჩლუნგი ადამიანი
61. ინგლისური ტრადიციული ლუდი
62. მდინარე ყაზახეთსა და ჩინეთში
63. ფრანგული ფილმი ოდრი ტოტუს მონაწილეობით
64. გერდას მეგობარი ბიჭუნა ანდერსენის „თოვლის დედოფალში“
65. თუთიყუშის ჯიში
66. სახსრის ანთება
67. ქალაქი იტალიაში
68. ჩეხური წარმოშობის ჩქარტემპიანი ცეკვა
69. მსახიობი ... ბერიმორი
70. იური შევჩუკის როკ-ჯგუფი
71. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია
72. კუდიანი ამფიბიის სახეობა
73. მდინარე პოს შენაკადი
74. ადამიანის სამეტყველო ორგანო
75. ... ისაკიჩ მეჯღანუაშვილი
76. დიდხანს ნამსახური, ომგადახდილი მებრძოლი
77. ინდოელი კინოვარსკვლავი აიშვარია ...
78. დარიგება, ჭკუის სწავლება
79. სოფელი ქედის რაიონში
80. პურის კიდე
81. მგელთა ხროვის წინამძ. „ჯუნგლების წიგნში“
82. მდინარე ქარელის რაიონში
83. პატარა ბუტერბროდი
84. ძვირფასი თვალი
85. მსახიობი ... დელონი
86. ვაზების მწკრივი ვენახში

ღალატისთვის ჯარიმქმნს ზრდიან

ცოტა ხნის წინ ვიეტნამში ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში გაიზარდა ცოლ-ქმრული ღალატისთვის დაწესებული ჯარიმების ოდენობა. ახალი კანონის თანახმად, საყვარლის ყოლა ან მეორედ დაქორწინება ერთიდან სამ მილიონ დონგომდე (146 დოლარამდე) ისჯება; არასრულწლოვანზე დაქორწინება 500 ათასიდან მილიონ დონგომდე ჯარიმის საფუძველი ხდება. გარდა ამისა, ვიეტნამის ხელისუფლების მიერ მიღებული ახალი კანონის თანახმად, დაჯარიმდებიან მოაქალაქეები დოკუმენტების გაყალბებისა და ფიქტიური ქორწინებისთვის, ხოლო მას, ვინც ფინანსური ვალდებულებებისთვის თავის არიდების მიზნით ეყრება მეუღლეს, უფრო დიდი ჯარიმის — 10-დან 20 მილიონამდე (1000 დოლარამდე) დონგის გადახდა მოუწევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი დოკუმენტით, გაუქმდა ჰომოსექსუალური წყვილის ქორწინებისთვის დაწესებული ჯარიმები, თუმცა ვიეტნამელები აცხადებენ, რომ ქვეყანაში ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზება არ მოხდება.

ჰოროსკოპი 2 დეკემბერი

ვერძი — სჯობს, არ იჩქაროთ, პირად ცხოვრებაში შეცდომა დაუშვით და თუ იგივე ტემპით გააგრძელებთ, გზიდან გადაუხვევთ. დაუკვირდით საქციელს, შეაფასეთ პარტნიორის მოქმედება და გააანალიზეთ ვითარება.

კურო — გარშემომყოფებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. ახლა შეგიძლიათ წამოიწყოთ ერთობლივი პროექტები პარტნიორებთან, გააფორმოთ ხელშეკრულებები. წარმატებული მომენტია პირადი ურთიერთობების ოფიციალურად გაფორმებისთვისაც.

ტყუპები — გირჩევთ, რთულ და სერიოზულ საქმეებს არ შეეჯიდოთ. თქვენი განწყობა რომანტიკულ მხარეს იქნება მიმართული, ახლობელ ადამიანსა და მეგობრებთან თბილი ურთიერთობისკენ. გამოიყენეთ ეს დრო მათთან შეხვედრისთვის.

კირჩხიბი — შეეცადეთ, გლობალურ პროექტებსა და ცხოვრებაში სერიოზულ ცვლილებებზე დაფიქრდეთ. სწორედ ასეთი გეგმები იქნება გამართლებული. წვრილმანი საქმეები კი მხოლოდ უაზრო ფატიფუტის საგანია.

ლომი — შეგიძლიათ იმედი იქონიოთ, რომ ბევრი საქმე პირველივე ჯერზე მოგვარდება. ასეთი წარმატება ფრთებს შეგასხამთ და ახალი გამარჯვებისკენ წაგიყვანთ, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ უველაფერი მაშინვე არ გამოვა და ჯიუტად ნუ ეცდებით პრობლემების მოგვარებას, სჯობს, ზოგი საქმე სხვა დროისთვის გადადოთ.

ქალწული — უველაზე მნიშვნელოვანი საქმეები დაგეგმეთ და ის გეგმაზომიერად, გრაფიკის მკაცრი დაცვით შეასრულეთ. რაც მეტად ეცდებით ვითარების სწრაფად შეცვლას, მით მეტ შეცდომას დაუშვებთ.

სასწორი — თქვენგან საოჯახო პრობლემების მოგვარებას ითხოვენ. შექმნილი ვითარება გაიძულებთ, სწრაფი გადაწყვეტილებები მიიღოთ ისე, რომ ფიქრის დრო აღარ გექნებათ.

ღრიანკალი — თქვენი აზრები ძიებისკენ იქნება მიმართული. დიდია ალბათობა, რომ საჭირო ადამიანების, ინფორმაციის, ფირმებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების ტელეფონების ძებნა დაიწყოთ, რაც კარიერული წინსვლისთვის აუცილებელია.

მშვილდოსანი — დღე მარტივი ნამდვილად არ აღმოჩნდება — მოგიწევთ სხვადასხვა წინააღმდეგობის გადალახვა. შუადღეს კი ცაიტნოტში აღმოჩნდებით, თუმცა ახლობელი ადამიანი ამ რთულ მომენტში გვერდით დაგიდგებათ და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის ორიგინალურ მეთოდსაც შემოგთავაზებთ.

თხის რქა — სხვისი საქმეების გარჩევა და შეცდომების გამოსწორება მოგიწევთ. ეს რთული და მოსაწყენი იქნება, მაგრამ საკმაოდ კაზრდის თქვენდამი ინტერესს ხელმძღვანელობისა და კოლეგების მხრიდან.

მერწყული — მნიშვნელოვანი დონისძიების წარმატება თქვენს ქცევაზე იქნება დამოკიდებული. ამ საქმეში პირადად მონაწილეობა და ვითარების კონტროლი დაწყებულ საქმეს წარმატებით დასრულებს. ნუ ეცდებით პარტნიორებთან კომპრომისზე წასვლას, ბოლომდე დაიცავით საკუთარი პოზიცია.

თევზები — ფინანსური საკითხები პირადულს დაჩრდილავს. საკარაუდოა, რომ ეს ფულის ნაკლებობამ კი არა, საინტერესო შეთავაზებამ გამოიწვიოს, რაზეც უარის თქმა გაგიჭირდებათ.

კაკალი დიაბეტისგან დაგიცავთ

თუ ადამიანი კვირაში 2-3-ჯერ მაინც მიირთმევთ კაკალს, ორგანიზმში დიაბეტის განვითარების რისკი ნაკლებია, — დასკვნა ჰარვარდის სამედიცინო სკოლის სწავლულებს ეკუთვნის, რომლებმაც 35-დან 77 წლამდე ასაკის 137 893 ამერიკელ ქალბატონზე ჩატარებული კვლევის შედეგად გაარკვიეს, რომ თვეში ერთხელ კაკლის მიღება დიაბეტის განვითარების რისკს 4%-ით ამცირებს, კვირაში ერთხელ — 13%-ით, კვირაში ორჯერ კი — 24%-ით.

ციხეებს პატიმრების ნაკლებობის გამო ხურავენ

პატიმრების რაოდენობა შვედეთში ყოველწლიურად 1%-ით მცირდება. გათავისუფლებული შენობები კი ან გაიყიდება, ან მათი პროფილი შეეცვლება, — წერს ერთ-ერთი გამოცემა. აქ საუბარი არ არის მსჯავრდებულთა შეწყალებაზე — სკანდინავიურ ქვეყანაში ამის საჭიროება არ დგას, უბრალოდ, ბოლო 10 წლის განმავლობაში პატიმრების რაოდენობა თავისთავად შემცირდა, 2004 წლიდან გისოსებსმიღმა აღმოჩენილთა რაოდენობა ყოველწლიურად თითქმის 1%-ით იკლებს, ხოლო 2012 წელს, წინა წელთან შედარებით, ამ მაჩვენებელმა 6% შეადგინა. როგორც შვედეთის პენიტენციალური სამსახურის უფროსი აცხადებს, ეს ფენომენი წელსაც განმეორდება, ამიტომ ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ქვეყანაში ოთხი ციხე დახუროს. დანაშაულის შემცირების მიზეზი უცნობია, თუმცა აღსანიშნავია ერთი ტენდენცია: მოსამართლეები ცდილობენ, შედარებით ლოიალური სასჯელი გამოიტანონ დანაშაულებისთვის, რომელიც ნარკოტიკებსა და ქურდობას უკავშირდება.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

კაფე გამოუძინებელი ქალებისთვის

იაპონიის დედაქალაქში ახალი კაფე გახსნეს, რომელიც ტოკიოში მცხოვრები სუსტი სქესის წარმომადგენლებზეა გათვლილი — ვისაც სურს, შესვენება მაქსიმალურად გამოიყენოს და ერთი საათით წაუძინოს. ორიგინალური კაფე სახელწოდებით , რამდენიმე დღის წინ გაიხსნა ტოკიოს ცენტრში, სადაც კლიენტებს (დაწესებულების მფლობელების ჩანაფიქრით, აქ მამაკაცები არ დაიშვებიან) სთავაზობენ ძილს მძიმე სამუშაო დღის განმავლობაში ან მის შემდეგ. მომსახურების ღირებულება საათობრივია და კაფეში გატარებული ყოველი 10 წუთი 150 იენი (1,5 დოლარი) ღირს.

ტეკილა ძვლებს გაგიმაგრებთ

ამერიკის ეროვნული ქიმიური საზოგადოების მეცნიერები გვირჩევენ, ძვლების გასამაგრებლად დავლიოთ... ტეკილა. საქმე ისაა, სასმელი აგავასგან გამოყოფილ სასარგებლო ფერმენტებს შეიცავს, რომელთა მეშვეობით, ორგანიზმში მოხვედრილი კალცი მაქსიმალურად ეფექტურად აითვისება. როგორც ექიმები ამბობენ, აგავას ფერმენტები სასარგებლოა სისუსტის დროს და სიმსუქნის წინააღმდეგ, ასევე დიაბეტისას... ექსპერიმენტისას ტეკილას პერიოდულად აძლევდნენ მღრღნელებს, შედეგად კი მათი ძვლები 50% (!) უფრო მტკიცე გახდა, თუმცა როგორც მედიკოსები აცხადებენ, ამ ალკოჰოლური სასმელის სამკურნალო პრეპარატად აღიარება, რასაკვირველია, არ შეიძლება.

ჰოროსკოპი 3 დეკემბერი

ვერძი — ზედმეტი დაძაბულობისა და აჩქარების გარეშე შეძლებთ იმ საკითხების გადაჭრას, რაც დიდი ხნის განმავლობაში გაწუხებდათ. წინ ჰაცარა ნაბიჯებით წაიწიეთ და დასახულ მიზნამდე მიაღწევთ.

კურო — თქვენს ცხოვრებაში, შესაძლოა, მოვლენები მოულოდნელად განვითარდეს, რაც ადამიანების მიმართ დამოკიდებულებისა და პოზიციის გადახედვას გაიძულებთ. დღე კარგია ახალი კავშირების დასამყარებლად.

ტყუპები — ბედი საინტერესო ადამიანთან ნაცნობობით გაგახარებთ, ეს ურთიერთობა რომანტიკულ ელფერს შეიძენს და შესაძლოა, სერიოზულ გრძნობაშიც გადაიზარდოს. თუ დანტერესებული ხართ მოვლენების ასეთი განვითარებით, უფრო გულდა იყავით და ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში.

კირჩხიბი — დილიდანვე ძალების მოზღვავებას იგრძნობთ და საქმის კეთების სურვილი გაგიჩნდებათ, თუმცა თქვენი ენერგია შეიძლება გამოუყენებელი დარჩეს, რადგან დიდწილად, ის წვრილმან საქმეებზე დაიხარჯება. დღის ბოლოს იმედგაცრუებასა და დაღლილობას იგრძნობთ.

ლომი — ვითარება თქვენს ირგვლივ წარმოუდგენლად იცვლება, რაც საქმეებისგან მოგწყვეტთ. არ არის გამორიცხული შეცდომები და გაუგებრობა. შეეცადეთ, ნებისმიერი ინფორმაცია სანდო ადამიანთან გადაამოწმოთ.

ქალწული — დღეს საკუთარი თავის გაგება გიჭირთ. ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები გიტრიალებთ და ნებისმიერი მცდელობა, უველაფერს თავისი ადგილი მიუჩინოთ, უშედეგოა. ახლობელი ადამიანის რჩევა გჭირდებათ, რომელსაც ბოლომდე ენდობით.

სასწორი — დღე ემოციების ქარაშხალსა და ვულკანივით ვნებას მოგიტანთ — მოგინდებათ, თავით გადაეშვათ რომანტიკულ ურთიერთობაში. შეეცადეთ, არსად წაბორძიკდეთ — ახალ ნაცნობებთან უფრო ფრთხილი იყავით.

ღრიანკალი — თქვენს მიმართ ეურადღებას ერთბაშად რამდენიმე ადამიანი გამოიჩენს და გაგიჭირდებათ რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება. ეცადეთ, არ მოსწყდეთ რეალობას.

მშვილდოსანი — დღის დიდ მონაკვეთს ფულთან დაკავშირებული საქმეები დაიკავებს. დაფიქრება გმართებთ, რათა ხარჯი გააკონტროლოთ და გამოუვალ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეთ.

თხის რქა — არსებითი პრობლემის გადასაჭრელად ბედი ორ ვარიანტს გთავაზობთ. კონსულტაცია გაიარეთ მცოდნე ადამიანთან, მიიღეთ რჩევა და გაითვალისწინეთ ის.

მერწყული — საქმეში თავით გადაეშვებით. ირგვლივ ვერავის შეამჩნევთ. სამსახურში, შესაძლოა, მართლაც დიდ წარმატებას მიაღწიოთ. რომანტიკული შეხვედრისა და პაემნის დაგეგმვა კი არ ღირს.

თევზები — დღე ხელსაყრელია მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მხოლოდ ღრუბლებში ფრენას ნუ დაიწყებთ და სიურპრიზებს ნუ დელოდებით. თქვენი შემოსავლები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუ ნიჭს გამოიყენებთ.

სუდოკუ ყანია

ადვილი

		9	4		5			
	1			3			2	
	4					7		9
			1	8				
	2	7				8	6	
				2	7			
9		5					4	
	3			5			8	
			6		1	9		

სტანდარტი

	8			1	7			9
						8		
	2	7			8	5		
			2			4		1
	5						3	
1		3			4			
		2	5			9	6	
		9						
3			7	6			2	

რთული

		7			1			3
	4			9		1		7
	9		7				5	
			4			9	1	8
			6		9			
4	5	9			8			
	8				7		4	
3		5		2			6	
2			8			3		

ექსპერტი

					1	9		7
	3				6	4		1
			4			6	5	
8			6	3		2		
1								5
		2		4	5			9
	2	9			4			
4		6	5				9	
3		1	2					

ქალისთვის მავნე პროფესიები



მასშტაბური კვლევების შედეგად, მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მდივნის, ბორტგამცილებელის, მასწავლებლისა და გამყიდველის პროფესიები საფრთხეს უქმნის ქალების ჯანმრთელობას:

მშვენიერი სქესის იმ წარმომადგენლებს, ვინც მდივნებად მუშაობს, შესაძლოა, ხელის მტევანზე ნერვული დაბოლოებების პრობლემები შეექმნათ, რაც ზურგისა და სახსრების ტკივილში გადაიზრდება და უფრო სერიოზული პრობლემების მიზეზი ხდება;

პედაგოგებს პრობლემები აქვთ ხმის ტემბრთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ანგინა და ტონზილიტი ვითარდება. ამ პროფესიის წარმომადგენელი ქალები ადვილად ავადდებიან ვირუსული ინფექციებით, რადგან გამომშრალი ყელი მიკრობებს იზიდავს;

ბორტგამცილებლები მუშაობისას უამრავ ნეგატიურ ფაქტორს აწყდებიან, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობაზე, აგრეთვე დროის სარტყელის გამუდმებული ცვლა ორგანიზმის ბიორიტმს არღვევს.

გამყიდველები, რომლებიც სულ ფეხზე დგანან, ძირითადად, ვენების ვარიკოზული გაგანიერებისა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე.

ლოთებს შრომას ლუდით აუნაზღაურებენ

ჰოლანდიაში, ამსტერდამელ ლოთებს, რომლებიც პარკში იკრიბებიან, ქალაქის ქუჩებს დაალაგებინებენ მეტად ორიგინალური ანაზღაურების სანაცვლოდ — 10 ევრო, ნახევარი კოლოფი თამბაქო და ხუთი ქილა ლუდი... ჯერი ჰოლტერმანი, რომელიც ამ პროექტს ხელმძღვანელობს, აცხადებს, რომ ლოთები საკმაოდ ბევრ უხერხულობას ქმნიან — ჩხუბობენ, ხმაურობენ, ქალებს აწუხებენ, პროექტის მიზანი კი მათი დასაქმებაა.

საწვავის ახალი სახეობა აღმოაჩინეს

როგორც ჩანს, ებრაელი სწავლულები ბენ-გურიონის უნივერსიტეტიდან შეძლებენ ენერგეტიკის სფეროში „მწვანე რევოლუციის“ მოწყობას — მათ მიერ შემუშავებული ეკოლოგიური ნედლეულის წარმოების პროცესი, რომელიც ნავთობს შეცვლის, დედამიწაზე ყველაზე მეტად გავრცელებული ორი ქიმიური ნაერთის — წყლისა და ნახშირმჟავა აირის გამოყენებას გულისხმობს. საწვავის სხვა, ალტერნატიული წყაროებისგან განსხვავებით, რომლებიც ელექტრონულ ელემენტებს შეიცავს და მისი შექნისთვის დამატებითი ინფრასტრუქტურაა საჭირო, ახალი, „მწვანე“ ნედლეული უბრალოდ, შეცვლის ნავთობს. მეცნიერების თქმით, ეს ინოვაციური ტექნოლოგია სინთეტური აირის გამოყენებას გულისხმობს, რომელიც წყალბადისა და ნახშირმჟავა აირის შერწყმით მიიღება, მისი მასობრივი წარმოებისას კი არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ „მწვანე საწვავის“ ახალი სახეობა, შესაძლოა, მალე, 5-10 წელიწადში ყველგან გამოიყენონ.

წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცი დაასახელეს

პოპულარულმა ჟურნალმა People ძლიერი სქესის წარმომადგენელი აირჩია, რომელიც მათი მოსაზრებით, ღირსია ატაროს „წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცის“ ტიტული. ასეთად კი გამოცემამ ჯგუფ Maroon 5 -ის სოლისტი ადამ ლევინი დაასახელა. ინტერვიუში 34 წლის მომღერალმა აღიარა, რომ არც კი უოცნებია მსგავს ტიტულზე — მუსიკოსი შეიძლება „გრემის“ მიღებაზე ოცნებობდეს, ასეთი სტატუსით კი გაოგნებული ვარო. ჟურნალის სიაში მოხვდნენ ასევე დევიდ ბექჰემი, ჯასტინ ტიმბერლეიკი, ბრუნო მარსი, ჯასტინ ტერუ, კრის პაინი... სექსუალური მამაკაცების რეიტინგს People 1985 წლიდან ადგენს, შარშან კი ეს ტიტული მსახიობ ჩენინგ ტატუმს ერგო.



წინა ნომერში გასული სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	2	9	8	7	6	3	5	4
5	8	3	4	2	1	9	7	6
6	7	4	9	5	3	2	1	8
7	4	6	2	3	9	1	8	5
3	5	2	1	6	8	7	4	9
9	1	8	7	4	5	6	3	2
4	3	5	6	1	2	8	9	7
2	9	7	3	8	4	5	6	1
8	6	1	5	9	7	4	2	3

სტანდარტი

5	2	1	4	7	6	3	8	9
8	9	7	2	1	3	6	5	4
6	3	4	9	8	5	1	2	7
4	6	9	5	3	2	8	7	1
1	8	3	7	6	4	5	9	2
7	5	2	1	9	8	4	3	6
3	7	8	6	2	1	9	4	5
2	1	5	8	4	9	7	6	3
9	4	6	3	5	7	2	1	8

რთული

2	3	9	8	1	7	6	4	5
8	7	5	6	4	3	1	2	9
1	6	4	5	2	9	3	8	7
5	2	8	1	3	6	9	7	4
7	1	6	4	9	8	5	3	2
4	9	3	2	7	5	8	1	6
3	8	7	9	6	4	2	5	1
9	5	2	7	8	1	4	6	3
6	4	1	3	5	2	7	9	8

ექსპერტი

1	8	4	3	2	7	6	5	9
7	6	5	1	9	4	3	8	2
3	2	9	8	5	6	1	7	4
5	3	1	6	4	8	2	9	7
9	7	2	5	3	1	4	6	8
8	4	6	9	7	2	5	3	1
2	5	8	4	6	9	7	1	3
4	9	3	7	1	5	8	2	6
6	1	7	2	8	3	9	4	5

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

სწავლა სამსახურის პარალელურად

MBA

სწავლა სამსახურის პარალელურად, მინიმალური ინვესტიცია — მაქსიმალური შედეგი + ინგლისური ენის გაძლიერებული პროგრამა.

კინგსტონის უნივერსიტეტი (აშშ) აცხადებს სტუდენტთა მიღებას სამაგისტრო პროგრამებზე:

- MBA მარკეტინგის მენეჯმენტი
- MBA სასტუმრო ბიზნესი
- MBA ორგანიზაციათა მართვა
- MBA საერთაშორისო ბიზნესი
- MBA საინფორმაციო სისტემების მართვა
- MBA ჯანდაცვის მენეჯმენტი
- MBA ელექტრონული ბიზნესი
- MBA ჰორეკა მენეჯმენტი
- MBA ფინანსები
- MBA ბუღალტერია/გადასახადები
- MBA ეკონომიკა
- MBA არასამთავრობო ორგანიზაციების მართვა
- MBA მენეჯმენტი

ინგლისურ და რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამების უპირატესობები თქვენთვის და თქვენი კომპანიის თანამშრომლებისთვის:

- ისწავლოთ თქვენთვის მოსახერხებელ დროს;
- მიიღოთ თანამედროვე სტანდარტის კვალიფიკაცია;
- დაზოგოთ ფულადი სახსრები;
- აირჩიოთ მოდულების თანმიმდევრობა;
- აიღოთ ტაიმ-აუტი და განაგრძოთ სწავლა მოგვიანებით.

სწავლება ორწლიანია. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ერთჯერადი მოსაკრებელი შეადგენს 680 აშშ დოლარს; ხოლო მეორე წლის ბოლოს – 700 აშშ დოლარს.

რუსულ ენაზე სწავლის შემთხვევაში სტუდენტი დამატებით გაივლის ინგლისური ენის გაძლიერებულ კურსს.

რეგისტრაციისთვის საჭიროა CV, ბაკალავრის დიპლომის ასლი და ფოტოსურათი დაარქივებულ ფორმატში. ელფოსტაზე: **danikaconsulting@yahoo.com**. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ არჩეული პროგრამის სახელწოდება. ტელ: 570700537; 593302555



ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ